პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 40-ე წელი № 102 (11712) | შაბათი, 30 აპრილი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

## საპირველმაისო შრომითი ვახტზე

◆ [illegible]

◆ ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელმა მეტალურგებმა, რომლებიც ზაპოროჟიელ და ალავერდელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, საპირველმაისოდ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. მათ 22 აპრილისათვის შეასრულეს ლი- [illegible]

[illegible] თა კოლექტივებმა პირველი მაისის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით იშრომეს და ვადამდე — 27 აპრილისათვის შეასრულეს ოთხი თვის საწარმოო გეგმა.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბათუმის, გაგრის და გუდაუთის სამრეწველო კომბინატების, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის, ლიმონათის და ლუდის ქარხნების კოლექტივებმა.

# ვამრავლოთ სოფლის დოვლათი!

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ვალდებულებანი 1960 წლისათვის

ჩვენ, საქართველოს სსრ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკები, სპეციალისტები, სკკპ [illegible] ისტორიული [illegible] შთაგონებულნი, აქტიურად [illegible] რათა ვადამდე [illegible] დავალებანი სასოფლო-სამეურნეო [illegible] და სახელმწიფოსათვის [illegible].

საქართველოს რესპუბლიკამ [illegible] ყოველდღიური [illegible] სკკპ ცენტრალური [illegible] მიაღწია სოფლის [illegible] დარგში მეჩაიეობის [illegible] ვადაზე [illegible] ხარისხოვანი ჩაის [illegible] დაფნის ფოთლის მიყიდვის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი. ამავე დროს ბევრია კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტას აწარმოებენ პროდუქტებს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

ვიანგარიშეთ რა ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი, ჩვენ, საქართველოს სსრ კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა ვალდებულება ვიკისრეთ 1960 წელს მოვიყვანოთ და სახელმწიფოს მივყიდოთ 145 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, გავაშენოთ 1.900 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაცია, მივყიდოთ სახელმწიფოს 170 ათასი ტონა ყურძენი, ანუ 37 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს, 80 ათასი ტონა ხილი, ანუ 11 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1959 წელს, 18,5 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეული, 4.100 ტონა აბრეშუმის პარკი და სულ მცირე 1.000 ტონა დაფნის ფოთოლი.

სახელმწიფოს 1960 წელს მიეყიდება 86 ათასი ტონა ხორცი ცოცხალი წონით, ანუ დადგენილ გეგმაზე ორჯერ მეტი, აქედან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიჰყიდიან 76 ათას ტონას, ანუ წლიურ გეგმაზე 2,3-ჯერ მეტს. ამ მიზნით გასუქებულ იქნება და სახელმწიფოს მიეყიდება 200 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 200 ათასი ღორი, 500 ათასი ცხვარი და 5 მილიონი ფრთა ფრინველი. წლის დამლევისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობა გაიზრდება 8 პროცენტით, ღორისა — 15 პროცენტით, ცხვრისა — 17 პროცენტით და ფრინველისა — 44 პროცენტით. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის შესყიდული იქნება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 100 ათას სულზე მეტი მოზარდეული.

1960 წელს სახელმწიფოს მიეყიდება 150 ათასი ტონა რძე, ანუ წლიურ გეგმაზე 1,3-ჯერ მეტი. ფერმებში ძროხების სულადობა აყვანილ იქნება 191 ათას სულამდე, ანუ გაიზრდება 12 პროცენტით გასულ წელთან შედარებით.

საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით დასახულია სამარცვლედ სიმინდის ნათესი ფართობები აყვანილ იქნას 235 ათას ჰექტარამდე, რაც 27 ათასი ჰექტარით მეტია, ვიდრე 1959 წელს იყო, მისი მოსავლიანობა აყვანილ იქნას არა ნაკლებ 20 ცენტნერ მარცვლამდე ჰექტარზე; მნიშვნელოვნად გადიდდეს ნაწვერალზე ნათესი სიმინდის ფართობები და ჩაიდოს 2 მილიონ 200 ათასი ტონა სილოსი, ანუ საშუალოდ 12 ტონა თვითეულ ძროხაზე.

კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და მოწინავეებმა. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა იკისრეს მიჰყიდონ სახელმწიფოს 24.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 22.730 ტონის ნაცვლად, საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 2.700 კილოგრამი ფოთოლი და გააშენონ 540 ჰექტარი ახალი პლანტაცია; აჭარის ასს რესპუბლიკამ იკისრა წელს მოკრიფოს 24.800 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.600 ტონისა, ერთ ჰექტარზე მიიღოს 4.314 კილოგრამი ფოთოლი; მახარაძის რაიონი მოკრეფს 28.600 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27.400 ტონისა და ფოთლის საშუალო მოსავლიანობას აიყვანს 3.690 კილოგრამამდე, გააშენებს 185 ჰექტარ ჩაის ახალ პლანტაციას; ზუგდიდის რაიონის მშრომელები მოკრეფენ 19.000 ტონა ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.930 ტონისა, საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 3.400 კილოგრამ ფოთოლს და გააშენებენ 150 ჰექტარ ახალ პლანტაციას; წალენჯიხის რაიონის მეჩაიეები სახელმწიფოს ჩააბარებენ 8.300 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.935 ტონისა.

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ექვთიმეს ასულმა ტყებუჩავამ იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,7 ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფოს 15.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის ჩაის მოწინავე მკრეფავმა ცისანა ვასილის ასულმა ქანთარიამ იკისრა 1960 წელს მისთვის მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს მიჰყიდონ სახელმწიფოს 25.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 23.000 ტონისა. ერთი ჰექტარის მოსავლიანობა აყვანილ იქნება 80 ცენტნერამდე, გააშენებენ 410 ჰექტარ ახალ ვენახს.

თელავის რაიონის მევენახეებმა გადაწყვიტეს მიჰყიდონ სახელმწიფოს 20.000 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 18.300 ტონის ნაცვლად, მიიღონ საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი და გააშენონ 380 ჰექტარი ახალი ვენახი.

თერჯოლის რაიონი ვალდებულებას კისრულობს ჩააბაროს სახელმწიფოს 9.000 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.700 ტონისა, გააშენოს ახალი ვენახები 110 ჰექტარ ფართობზე და საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი ყურძენი.

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ყურძნის მოსავალი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ამხ. ნინო გიორგის ასულმა ბეგიაშვილმა იკისრა რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 5,2 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 120 ცენტნერი ყურძენი.

გორის რაიონი ვალდებულებას კისრულობს მიჰყიდოს წელს სახელმწიფოს 30.000 ტონა ხილი, თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 61 ცენტნერი და გააშენოს ხეხილის ახალი ბაღები 840 ჰექტარ ფართობზე; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა გადაწყვიტეს გააშენონ ახალი ბაღები 300 ჰექტარ ფართობზე.

### ვალდებულებანი განხილული და მიღებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე

ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა იკისრა 1960 წელს 616 ჰექტარი ბაღიდან საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღოს 70 ცენტნერი ხილი, ხოლო ამავე საბჭოთა მეურნეობის მე-4 აგროუბანმა, რომელსაც დავით ალექსის-ძე მამულაძე ხელმძღვანელობს, იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილ 112 ჰექტარ ბაღში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოს 130 ცენტნერი ხილი.

აფხაზეთის ასსრ ვალდებულებას კისრულობს საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 11,1 ცენტნერი და სახელმწიფოს მიჰყიდოს 8.750 ტონა თამბაქო; მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 14,8 ცენტნერი და სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.760 ტონა თამბაქოს ნედლეული, ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 3.550 ტონა თამბაქოს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 14,0 ცენტნერს.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს 1960 წელს სიმინდი დათესონ 4.500 ჰექტარ ფართობზე ანუ 1.300 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1959 წელს იყო დათესილი. საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 35-40 ცენტნერი მოსავალი მარცვლად ანუ 7-12 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1959 წელს იყო მიღებული. გარდა ძირითადი ნათესებისა, ყვარლელებმა იკისრეს მიმდინარე წელს სიმინდი ნაწვერალზე დათესონ 5.000 ჰექტარ ფართობზე და საშუალოდ ჰექტარზე აიღონ 350 ცენტნერი მწვანე მასა.

ყვარლელების კარგ წამოწყებას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ. აბაშის რაიონის კოლმეურნეობებმა იკისრეს 1960 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 30 ცენტნერი სიმინდი.

თელავის რაიონის კოლმეურნეობები წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 35 ცენტნერ სიმინდს, მცხეთის რაიონის კოლმეურნეობები — 28 ცენტნერს, მახარაძის რაიონის კოლმეურნეობები — 25 ცენტნერს და სხვ.

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. დავით ნიკოლოზის-ძე მღებრიშვილმა იკისრა 1960 წელს დათესოს 55 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარისა და უზრუნველყოს 45 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდის მიღება მარცვლად და 10 ჰექტარ ფართობზე 500 ცენტნერი მწვანე მასის მიღება.

ლაგოდეხის რაიონის მეაბრეშუმეები კისრულობენ მიჰყიდონ სახელმწიფოს 1.600 ცენტნერი პარკი, გააშენონ თუთის 20 ჰექტარი პლანტაცია და დარგონ 16 ათასი ძირი ხე; წყალტუბოს რაიონი სახელმწიფოს მიჰყიდის 2.100 ცენტნერ პარკს, გააშენებს თუთის 15 ჰექტარ პლანტაციას და დარგავს 25 ათას ძირ ხეს; წულუკიძის რაიონი სახელმწიფოს მიჰყიდის 2.220 ცენტნერ პარკს, გააშენებს თუთის 15 ჰექტარ პლანტაციას და დარგავს 30 ათას ძირ ხეს; გეგეჭკორის რაიონმა გადაწყვიტა მიჰყიდოს სახელმწიფოს 2.125 ცენტნერი პარკი, გააშენოს თუთის 25 ჰექტარი პლანტაცია და დარგოს 30 ათასი ძირი ხე; ლანჩხუთის რაიონი სახელმწიფოს მიჰყიდის 2.350 ცენტნერ პარკს, გააშენებს თუთის 25 ჰექტარ პლანტაციას და დარგავს 20 ათას ძირ ხეს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ა. მ. არხანიამ იკისრა 15 გრამი თესლიდან მიიღოს 83 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

სამგორის რაიონმა ვალდებულება იკისრა წელს მიჰყიდოს 5.500 ტონა ხორცი ცოცხალი წონით, ანუ 1960 წლისათვის დადგენილ გეგმაზე სამჯერ მეტი, და რძე 8.800 ტონა, ანუ 1,4-ჯერ მეტი; თეთრი წყაროს რაიონმა გადაწყვიტა მიჰყიდოს სახელმწიფოს 3.000 ტონა ხორცი ცოცხალი წონით, ანუ დადგენილ გეგმაზე სამჯერ მეტი, ხოლო რძე 5.000 ტონა, ანუ გეგმაზე 1,4-ჯერ მეტი.

ბოლნისის რაიონმა ვალდებულება იკისრა მიჰყიდოს სახელმწიფოს 2.200 ტონა ხორცი, ანუ გეგმაზე 2,5-ჯერ მეტი, ხოლო რძე — 3.000 ტონა, ანუ დადგენილ გეგმაზე 1,4-ჯერ მეტი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეღორემ ამხ. დავით გიორგის-ძე სეფიაშვილმა იკისრა 1960 წელს გაასუქოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1.100 ღორი — თვითეული არანაკლებ 80 კილოგრამი ცოცხალი წონისა.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სპასოვკის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა იკისრეს 230 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღონ 2.500 კილოგრამი რძე; დმანისის რაიონის სოფელ უსეინქენდის გორკის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა იკისრეს ფერმაში არსებული 155 ძროხიდან საშუალოდ თვითეულზე მიიღონ სულ მცირე 2.450 კილოგრამი რძე.

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის მოწინავე მწველავმა ამხ. დოდო ზაქარიას ასულმა ქიტუაშვილმა იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილი ძროხებიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღოს 6.000 კილოგრამი რძე, ხოლო სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა ამხ. სოფიო ილარიონის ასულმა დელიბაშვილმა იკისრა მისთვის მოსავლელად მიჩენილი ძროხებიდან თვითეულზე საშუალოდ მიიღოს სულ მცირე 5.000 კილოგრამი რძე.

სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მეფრინველემ ამხ. ქეთო ივანეს ასულმა კორკოტაშვილმა იკისრა უზრუნველყოს 6.000 კვერცხმდებელი დედლის მოვლა და მიიღოს 1.050.000 ცალი კვერცხი; ბოლნისის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფერმის მეფრინველემ ამხ. აფაიატ ორუჯყიზი ყურბანოვამ იკისრა უზრუნველყოს 4.000 კვერცხმდებელი დედლის მოვლა და მიიღოს 480.000 ცალი კვერცხი ანუ თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე საშუალოდ 120 კვერცხი.

ცხადია, რომ ყველა ეს ვალდებულებები დაძაბული, მაგრამ სავსებით რეალურია და მათი შესრულება შესაძლებელია. ამას ადასტურებს მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულება; ხორცისა — 165,2 პროცენტით, ანუ 1,7-ჯერ მეტით, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში, რძისა — 137,5 პროცენტით, კვერცხისა — 181 პროცენტით. საქმე ახლა დამოკიდებულია პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორულ მუშაობაზე. სოფლის თვითეულმა მშრომელმა უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა რეალიზაციაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი აღმავლობისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება ჩვენგან მოითხოვს ძალების ახალ დაძაბვას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ და გაბედულად დანერგვას. უნდა მივაღწიოთ მიწათმოქმედების კულტურის მნიშვნელოვან აღმავლობას, ყოველი ღონისძიებით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები პირობას აძლევენ მშობლიურ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს, რომ არ დაიშურებენ არც ძალებს, არც ენერგიას ყველა სოციალისტური ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტურ მშენებლობაში.



ბამრჯე, საქმის მოყვარული ვაჟკაცია გურამ ნატროშვილი. თვითონაც მოწინავე მევენახეა და მისი რგოლის წევრებიც. იგი უთუოდ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ასე იყო შარშანაც. გიორგი კარგად გაუძღვა გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის რგოლს და წარმატებაც მოიპოვა, 6,7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 93,7 ცენტნერი ყურძნის მიღება.

ეს წარმატება მას როდი აკმაყოფილებს და პირობა აქვს დადებული საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტი ყურძენი მოიყვანოს. — მაგრამ მოსავლიანობის გადიდება როდია საკმარისი. საჭიროა მაღალხარისხოვანი ყურძნის მიღება. აი რა არის მთავარი ქართული ღვინის მარკის ღირსების დასაცავად, — ამბობს გიორგი და ამისათვის კიდეც იბრძვის.

სურათზე: მოწინავე მერგოლური გ. ნატროშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## თბილისიდან გაემგზავრა ამხ. დოლორეს იბარური

ოთხ დღეს იყო სტუმრად საქართველოში ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის თავმჯდომარის ამხანაგ დოლორეს იბარურის მეთაურობით. დელეგაცია ჩამოვიდა ესპანელი ხალხის სახელოვანი შვილის, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის ხოსე დიასის ძეგლის გახსნაზე. ხოსე დიასი დაკრძალულია თბილისში.

საქართველოს საზოგადოებრიობამ განსაკუთრებით გულითადი და მხურვალე მიღება მოუწყო ესპანელი კომუნისტების გმირი პარტიის მგზნებარე ხელმძღვანელს ამხ. დოლორეს იბარურისა და მის თანამგზავრებს. ყველგან, სადაც კი იყვნენ სტუმრები — თბილისის შამპანკომბინატში, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში — მათ ხვდებოდნენ როგორც სასურველ და ახლობელ მეგობრებს.

გორში დელეგაციამ დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

მეგობრულ ამხანაგურ ატმოსფეროში მოეწყო ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრთა შეხვედრა საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან. შეხვედრაზე იყვნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ჟაღაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, გ. ი. ჩოგოვაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ა. კვაჭაძე და ა. მ. ლაბახუა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ს. კ. ჩხარტიშვილი და კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი და სხვები.

29 აპრილს ესპანეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია „ტუ-104" თვითმფრინავით მოსკოვს წავიდა. ძვირფასი სტუმრების გასაცილებლად თბილისის აეროპორტში მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ვ. კოვანოვი, ფ. დ. დუმბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. გ. რთველიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

## გუშინ ჩაის პლანტაციებში

## 145.000 ტონა ჩაისათვის!

1960 29 აპრილი

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას შეუდგა აგუბედიის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება". პირველ დღეებში მოკრეფილია 520 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს ქვეყანას მისცენ 162 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 124 ტონისა. კრეფაში დაწინაურდნენ:

ზ. ხარჩილავა, რომელმაც ერთ დღეს მოკრიფა 25 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, მ. გაბისონია — მოკრიფა 20 კილოგრამი, მ. ხოჯავა — მოკრიფა 17 კილოგრამი. თვითეულმა მათგანმა დღიური დავალება 120-150 პროცენტით შეასრულა. ასევე გადაჭარბებით გაანაღდეს დავალება მკრეფავებმა ვ. ჩაჩბამ, ზ. არშბამ და სხვებმა.

* * *

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 26 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი.

გუშინ ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა 3 ტონა ჩაის ფოთოლი, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობამ — 1.800 კილოგრამი, ხოლო ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობამ — 1.500 კილოგრამი.

კრეფას შეუდგა ბათუმის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც მოკრიფა 450 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მკრეფავები ა. გორდეინკო და ზ. აბულაძე დღიურ ნორმებს 250 პროცენტით ანაღდებენ.

## საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

## კომკავშირული ლაშქრობა სოფლის მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის

გორის რაიონის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ გამოიჩინეს ძვირფასი ინიციატივა — გამოაცხადეს ლაშქრობა რაიონის სოფლების მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის.

გუშინ ამ საკითხის განსახილველად შეიკრიბნენ გორის რაიონის კომკავშირელი აქტივისტები და ახალგაზრდობის წარმომადგენლები. თათბირს ესწრებოდნენ რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები.

თათბირზე აღინიშნა, რომ რაიონში უკვე ელექტროფიცირებულია 33 კოლმეურნეობა, ორი საბჭოთა მეურნეობა, სტს, მეფრინველეობის საინკუბატორო სადგური და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. მაგრამ, როგორც თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რაიონის სოფლების ელექტროფიკაციის ახლანდელი დონე ჩამორჩება კოლმეურნე გლეხობის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებს, სოფლის მეურნეობისა და მისი წარმოების მოთხოვნილებას.

თათბირის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულონ ხუთ წელიწადში და 1963 წლის ბოლოსათვის დაამთავრონ რაიონის სოფლების მთლიანი ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია.

მიღებულ მიმართვაში თათბირის მონაწილეები მოუწოდებენ რესპუბლიკის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას დაიწყონ კომკავშირული ლაშქრობა სოფლების მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა გორის რაიონის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ინიციატივის საკითხი და მოიწონა ეს ძვირფასი წამოწყება.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს, პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ გორელი ახალგაზრდების თაოსნობას და ფართოდ გაშალონ ადგილებზე მოსამზადებელი სამუშაოები რესპუბლიკის სოფლების მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის ტემპების დაჩქარებისათვის.

## საბერძნეთიდან დაბრუნდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია

28 აპრილს საბერძნეთიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. პალეცკისი. საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობდა საპარლამენტთაშორისო კავშირის გაზაფხულის სხდომაში, რომელიც ათენში მიმდინარეობდა 16-დან 24 აპრილამდე.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. თ. გორკინი, კ. ა. გუბინი, ი. გ. კაბანოვი, პ. ფ. კროვოროხი, ზ. ა. ლებედევა, ზ. ხ. ომაროვა, შ. ი. ჯანუყვაძე.



# რუსთავი—სტალინო—სუმგაითი

**მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ**

ეს იყო ამ რამდენიმე ხნის წინათ. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის სხდომაზე გადაწყვიტეს დელეგაციის ერთი ჯგუფი გაეგზავნათ სტალინოში, მეორე — სუმგაითში. გამგზავრების წინ ქართველმა მეტალურგებმა ერთხელ კიდევ გადახედეს ქარხნის მაჩვენებლებს, საამქროებსა და უბნებზე არსებულ მდგომარეობას, ბლოკნოტებში ჩაინიშნეს ყველაზე მთავარი და უკან მოიტოვეს მშობლიური ქალაქი...

სტალინო — ჩვენი ქვეყნის მეტალურგიის ერთ-ერთი ცენტრი.

სუმგაითი — რუსთავივით ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქი — აზერბაიჯანში.

ქართველების სტუმრობამ დიდად გაახარა სტალინოელი და სუმგაითელი მეტალურგები. მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ ქართველ სტუმართა პატივსაცემად.

რუსთავი, სტალინო, სუმგაითი... ჩვენი ქვეყნის ამ სამი ქალაქის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება ტრადიციული გახდა. დამახასიათებელია, რომ უკრაინელი და აზერბაიჯანელი მეტალურგები ყოველ წელიწადს ჩამოდიან რუსთავში, ქართველები კი უკრაინასა და აზერბაიჯანში მიდიან. მიზანი ერთია — გაეცნონ ერთმანეთის შრომითს საქმიანობას, შეაჯამონ მუშაობის შედეგები და გააფორმონ შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი.

ამჯერადაც ასე მოხდა. სტალინოელმა მეტალურგებმა შარშან მაღალნაყოფიერად იმუშავეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს. სამაგიეროდ აზერბაიჯანელ მეტალურგებთან ქართველმა თანამოსაქმეებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს.

— შეჯიბრების შედეგების შეჯამების შემდეგ, — თქვა დელეგაციის მეთაურმა, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ს. შარაძენიძემ, — გულდასმით გავეცანით სუმგაითის მილსაგლინავი ქარხნის მუშაობას. აზერბაიჯანელ მეტალურგებს ბევრი სიახლე აქვთ, რაც ჩვენთანაც თავისუფლად შეიძლება დაინერგოს. საგულისხმოა, რომ სუმგაითელი მეტალურგები ზუსტად იცავენ თბოტექნიკურ რეჟიმს, რის გამო იქ ღუმელების წინა და უკანა კედლები უფრო გამძლეა, ვიდრე ჩვენთან.

ქართველმა მეტალურგებმა აზერბაიჯანელ მეგობრებთან სტუმრობისას ჩაინიშნეს, რომ იქ — სუმგაითში ღუმელის ამონაგს მაღალხარისხოვნად აკეთებენ. ამის გამოა, რომ თაღის მდგრადობა 600 დნობამდე ადის, მაშინ როცა რუსთავში თაღი საშუალოდ 400-450 დნობას უძლებს. ქართველმა მეტალურგებმა პირობა მისცეს აზერბაიჯანელებს, რომ დაბრუნდებიან თუ არა მშობლიურ ქარხანაში, შეუდგებიან ამ გამოცდილების დანერგვას.

ბევრი რამ საინტერესო ნახეს ქართველმა მეტალურგებმა სტალინოშიც. აქ დელეგაციას მეთაურობდა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ჟამიერაშვილი.

სტალინოდან რომ დაბრუნდნენ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ძამაშვილმა, ფოლადის დნობის ოსტატმა ს. საყვარელიძემ, ცვლის უფროსმა ნ. კურატაშვილმა და სხვებმა თავიანთი საამქროების კოლექტივებს ფართოდ გააცნეს უკრაინელი კოლეგების მიერ ამ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ტექნიკური სიახლენი. რუსთავის მეტალურგებმა გადაწყვიტეს უკრაინელების მაგალითისამებრ გამოიყენონ ორგანყოფილებიანი მძლავრი დგანი ფურცელსაგლინავ საამქროში, შეცვალონ ფერადი ლითონების დეტალები მოხარშული და ზეთით გაპოხილი ხის მასალებით, რაც დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს ქარხანას.

სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე, რომლებიც მიეძღვნა ქართველი მეტალურგების ჩასვლას სუმგაითსა და სტალინოში, გაფორმებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ხელშეკრულებანი. ამ შეჯიბრებაში რუსთავის მეტალურგებმა იკისრეს: წელს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცენ [illegible] ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, შრომის ნაყოფიერების [illegible] გადამეტებით, გასწიონ 3 მილიონი მანეთის ეკონომია და სხვ.

ამ დღეებში ქართველმა მეფოლადემ ს. საყვარელიძემ წერილი გაუგზავნა თავის უკრაინელ მეგობარს დ. სიდორიუკს.

— ჩვენ, ქართველი მეტალურგები, — წერს იგი, — წარმატებით ვიბრძვით თქვენთან გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის. ვფიქრობთ გაგეხარდებათ თუ მოგწერთ, რომ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივეცით ასობით ტონა ქართული თუჯი, ფოლადი, მილები...

თავიანთი შრომითი წარმატებები რუსთავის მეტალურგებმა წერილობით აცნობეს სუმგაითელ კოლეგებსაც.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

**ლაგოდეხის რაიონი.** სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან მეფრინველეობისაგან 65 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო. მიმდინარე წელს ფერმაში სულადობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ინკუბატორიდან უკვე მიღებულია 3.300 წიწილა, წლის ბოლომდე ფერმა კიდევ მიიღებს 3 ათასს. **სურათზე:** წინა პლანზეა ზ. მაჭარაშვილი მეფრინველეობის ფერმაში. ფოტო ი. ედიგარაშვილისა (საქღესის ფოტოქრონიკა).

# ჩანჩქერი

**შალვა შენგელი**

**ზუგდიდის** გარეუბანთან, დასავლეთით, რკინიგზის გასწვრივ გაშლილა ეს სოფელი. იგი აქაური დაუდგრომელი მდინარის სახელს ატარებს. კარგად დაურქმევიათ. მართლაც ნელა მლოლავ დღეს კი არა ჰგავს, მთის ჩანჩქერივით მქუხარეა. ადიდებულსა და სწრაფად მავალ მდინარეს მოგაგონებთ ინგირელთა ცხოვრებაც.

მუდამ სიცოცხლე, უწყვეტი სწრაფვაა წინ და, ცხადია, იმარჯვებს ყამირებს, ბელტებს შეჭიდებული, ახალი, მცოდნე გლეხის მაჯას დამორჩილებული ტრაქტორიც და გუთანიც.

ამიტომ არის, რომ ზუგდიდის რაიონში სხვა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებთან ერთად საქმით ბრწყინავს, ანათებს ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი იროდი ქანთარია მეთაურობს.

მუშაობის შემდეგ ახალ, საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილ ინგირელებს ნახავთ თავიანთ კულტურის სახლში კონცერტზე ან ფილმის დემონსტრირებისას. რომელ ქალაქს ან რომელ რაიონულ ცენტრს არ დაამშვენებდა ეს მონუმენტური შენობა.

ხუთასადგილიანი, სვეტებიანი კულტურის სახლი! 1.700 ათასი მანეთი დაჯდა მისი აგება.

...შესანიშნავი ლოჟები. დიდი სცენა. ლურჯი ხავერდის, ტალღისებრ მოლივლივე ისეთი ფარდა, როგორიც დიდ დრამატულ სახელმწიფო თეატრებში გვინახავს.

...ინგირელები ხშირი სტუმრები არიან ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრისა და ეს აქ სავსებით ჩვეულებრივი ამბავია. მათ ხომ თითქმის იმაზე ნაკლები კილომეტრების გავლა უხდებათ, ვიდრე საბურთალოდან რუსთაველის თეატრამდე.

...მერე, შინ დაბრუნებისას, მანქანაშივე საუბრობენ სპექტაკლის ავ-კარგზე...

სწორედ ისეა, როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექს „სასწაულში"... უნიჭიერესი საბჭოთა პოეტი გველაპარაკება გლეხებზე, რომლებიც მეფის სასახლეში ისვენებენ და ისმენენ მაიაკოვსკის ლექციასა და ლექსებს. დასრულდა საღამო.

„ვხედავ გამოდის აივანზე,
ამ ლექციიდან
ორი მუჟიკი
სპილოსძვლურ კომპლექციისა".

ერთ-ერთს მოსწონებია ლექსის ბოლოში „წკრიალა რითმა". აღფრთოვანებული პოეტი ამ ფაქტში — გათვითცნობიერებულ გლეხთა მსჯელობაში სასწაულს ხედავს და, დასასრულ ამბობს:

„ასე არჩევდნენ
ამ ლექციის ავსა და მართალს
ყვითელ ბილიკთან
და ცისფერ წყალთან".

**რამდენიმე** წლის წინათ ქებით იხსენიებოდა მილიონერი კოლმეურნეობა. ინგირში ახლა მილიონზე მეტი შემოსავლის მქონე ბრიგადებია.

აი უკეთესი ფაქტიც: არის რგოლი, რომელსაც აგროტექნიკი ბონდო ყალიჩავა მეთაურობს. რგოლმა 4 ჰექტარზე 8 ტონა ჩაი მიიღო და მისმა ფულადმა შემოსავალმა 444.000 მანეთს მიაღწია.

ინგირის ფერმაში ერთ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია საშუალოდ 1.700 ლიტრი რძე. ეს ცოტა როდია. მაგრამ აქ არის ახალგაზრდა მწველავი ვაჟა ქობალია, რომელმაც თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.500 ლიტრი და ამით 1965 წლის დონეს უკვე შარშან გადააჭარბა.

ინგირში ბევრ შეძლებულ კოლმეურნეს ნახავთ. ასეთია, მაგალითად, სანდრო ჯინჯოლავა. ჯინჯოლავები თავისი „პობედით" დადიან ქორწილში, ლხინში, ნათესავებში.

ან აიღეთ ხარიტონ ყალიჩავას ხუთი სულისაგან შემდგარი ოჯახი. ხუთივე შრომობს. შარშან ყველამ ერთად 1.465 შრომადღე გამოიმუშავა. დახვავდა დოვლათი. ხარიტონი ყოველ წუთს მზად არის სტუმრის მისაღებად. ყველაფერი აქვს შინ. ეზოდან არაფრისათვის არ გავა, „ოცდაათი ცხენოსნითაც" რომ ეწვიოთ.

...გასულ წელს თერთმეტი მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღო ინგირის კოლმეურნეობამ. ეს მილიონები განაწილდა. შრომადღეებზე გაიცა და განუყოფელ ფონდსაც მიემატა.

ახლა აქ, კულტურის სახლის პირდაპირ, კიდევ ერთი ახალი შენობის აგება მთავრდება — ეს სკოლაა. აქ დაიწყება მეცადინეობა პირველ სექტემბერს. მაგრამ არც ამას სჯერდებიან ინგირელები. კოლმეურნეობა სკოლას კი არა, სკოლა-ინტერნატს — მოსწავლეთა პატარა ქალაქს აგებს.

სულ მალე გაიჭრება მიწა და საძირკველი ჩაეყრება დიდ, სამსართულიან, ერთ მილიონ ხუთასი ათას მანეთად ღირებულ სახლს. ეს შენობა წელსვე აიგება. მასში იცხოვრებენ მოსწავლეები.

გაისად შეუდგებიან მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო კორპუსის აგებას.

მთლიანად ამ საშვილიშვილო საქმეს — სკოლა-ინტერნატის აშენებას — თურმე 6 მილიონი მანეთი სჭირდება, და ამ თანხას ეს ერთი კოლმეურნეობა იძლევა.

სკოლისათვის ამდენი ფულის გაღებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო უწინ, როცა კოლმეურნეობა ის-ის იყო ფეხს იდგამდა, დიდ საქმეს მაგარი წელი უნდა.

ახალი ამბავი, ინგირი თავისი სახსრებით სკოლა-ინტერნატს აშენებსო, ელვის სისწრაფით მოედო რაიონს.

**ახლა** ინგირელები სამაისო შრომითს ვახტზე დგანან. მათ იციან, რომ ეს ფრიად საპატიო და პასუხსაგები საქმეა. ყველა თავის საგუშაგოზეა.

ზამთარში უკლებლივ გადაიბარა ფართობები, შეტანილ იქნა ყველა სახის სასუქი ჩაის პლანტაციაში.

დამთავრდა ბუჩქების გასხვლა... კიდევ რამდენიმე დღე, და დაიწყება ძლიერი ვეგეტაცია — უხვად შემოვა მწვანე, ქორფა ფოთოლი — „საქართველოს თაიგულის" ნედლი მასალა.

ზუგდიდის რაიონში ჩაის სიმჩხრის აღმოსაფხვრელად ინგირელმა კომკავშირელებმა ლაშქრობა მოაწყეს. მათ უკვე დაამზადეს ათასობით შეხავსებული ნერგი. გაჩაღდა ბრძოლა „მწვანე ოქროს" მოსავლიანობის გასადიდებლად.

ინგირელებმა გეგმის მიხედვით 1965 წელს უნდა მოკრიფონ 1.050 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. მაგრამ აქ გადაწყვიტეს გაარღვიონ გეგმის ჩარჩო და აღნიშნული რაოდენობით დაამზადონ ნედლეული ამ სეზონში. სხვანაირად რომ ვთქვათ, შვიდწლედის დავალებას ჩაის დარგში ასრულებენ ხუთი წლით ადრე.

სამაისო შრომითს ვახტზე მდგომი სოფელი ახალ, უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს.

**დიდებას,** წინსწრაფვას, გაზაფხულის მობრძანებას ნაწილობრივ მაინც ასახავს აქაური პატარა, მრავალტირაჟიანი გაზეთი „სტალინელი".

აი მისი ერთ-ერთი ნომერი. მასში გამოქვეყნებულია უკვე ჭაღარა, მაგრამ სიმპათიური ქალის სურათი წარწერით: ჩაისათვის მოლაშქრე პირველი ჯარისკაცი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური შრომის გმირი ქსენია სარსანია.

პირველი ჯარისკაცი! — კარგად არის ნათქვამი. მართლაც რომ ასეა. იყო დრო, როცა მარტო ქსენია (ქიონია) კრეფდა მეტ ჩაის, ვიდრე ზოგიერთი ბრიგადა, ერთად აღებული. მაშინ ამ ლეგენდარული ქალის სახელს მთელი მსოფლიო გაეცნო.

...გავიდა დრო, შეიცვალა ვითარება... წამოვიდა ახალი ცვლა...

სარსანიას მაღალი ოდა დგას ფერდობზე — ჩაისა და ვენახის პლანტაციებს შუა, ას მეტრზე კოლმეურნეობის კანტორიდან. ახალგაზრდა მკრეფავებს აქ ეგულებათ ქართული ჩაის დიდი ოსტატი და გზის გამკაფავი. ქიონია დამსახურებული პატივისცემით არის გარემოსილი.

ინგირში უკვე უარყვეს თითოოროლა რეკორდსმენით გატაცების გზა. იზრდება ერთი კი არა, ძალიან ბევრი ახალგაზრდა სარსანია.

ვილაპარაკოთ ფაქტი. ნახევარი ჰექტარი პლანტაციიდან ხუთ ტონაზე მეტი ჩაის მიღება ნამდვილად სერიოზული წარმატებაა. ინგირში ბევრია ასეთი მკრეფავი. „ბევრი" შეიძლება გულისხმობდეს ათს, თხუთმეტს, ოცს, ოცდახუთს... ხომ საინტერესოა მათი ზუსტი რაოდენობა?

ახლავე მოგახსენებთ: ისეთ მკრეფავთა რაოდენობამ, რომლებმაც ნახევარი ჰექტარიდან ხუთ ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, მიაღწია... ორმოცდათხუთმეტს.

ვინ არიან ისინი! ძალიან გრძელი სია გამოვა. აი ზოგიერთი მათგანი: ძაბა ზარქუა, ნათელა შანავა, სონია სამუშია, გული ქობალია, კატუშა კვარაცხელია...

დიახ, ორმოცდათხუთმეტი ქსენია სარსანია იზრდება ინგირში! ისინი ჯერ დაეწევიან თავიანთ მეგზურს, ხოლო მერე იბრძოლებენ გასწრებისათვის. ეს უხარია ქსენიას.

აი რამ გადააწყვეტინა ინგირელებს ჩაის მოყვანასა და კრეფაში ამ რამდენიმე თვეში მიაღწიონ 1965 წლისათვის გათვალისწინებულ დონეს.

მართლაც, რა დაუდგება წინ ასეთ ძლიერ ლაშქარს, ამდენ სარსანიას!

**ამას** წინათ ზუგდიდში, სუფრასთან შევხვდი ამ სახელოვანი სოფლიდან ჩამოსულ ორ ვაჟკაცს. კარგები, კოხტად ჩაცმულები იყვნენ, თავიც ღირსეულად ეჭირათ.

რომელიღაც მოხუცს მოეწონა ისინი, მორიგი სადღეგრძელოსათვის აღებული პატარა ყანწები გადააწოდა და ეკითხება:

— საიდან ბრძანდებით, ყმაწვილებო?

ჭაბუკებმა გამოართვეს მოვერცხლილი, სავსე სასმისები და ამაყად, ნამდვილად ამაყად უპასუხეს:

— ჩვენ ინგირელები ვართ!

სუფრაზეც კარგად ჟღერდა ეს სიტყვები „ინგირელები", რომელიც იმ წუთში შრომისმოყვარეობასა და სიმდიდრესთან ერთად მოლხენის შნოსაც ნიშნავდა.

## სადღესასწაულო საჩუქარი

**ფოთი.** მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდის" წევრებმა გადაწყვიტეს ახალი წარმატებებით შეხვდნენ 1 მაისის დღესასწაულს. დღემდე დაჭერილია 5 ათას ცენტნერზე მეტი პირველი ხარისხის თევზი, გეგმა კი 2.130 ცენტნერის დაჭერას ითვალისწინებს, ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 118,8 პროცენტით. „კოლხიდის" მეთევზეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქობულეთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „გამარჯვების" წევრები.



# აგიტაცია და ცხოვრება

**ასავლეთის** ქარმა შავი ღრუბლები გაფანტა, და ტირიფონის ველს კვლავ მზის სხივები მოეფინა. სოფელს გამოცოცხლება დაეტყო. ახალგაზრდები კოლმეურნეობის კანტორისაკენ გაეშურნენ.

— რა ამბავია დღეს კოლმეურნეობის კანტორაში? — შევეკითხეთ პარტორგანიზაციის მდივანს გ. ხუბულოვს.

— აგიტატორთა თათბირია, ამინდი უმჯობესდება და ხვნა-თესვას მასობრივად ვიწყებთ. აგიტატორებს კი დიდი დახმარება შეუძლიათ ამ ცხარე დღეებში.

გ. ხუბულოვი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზ. გოიაევთან მივიდა, რაღაც წაულაპარაკა და შემდეგ აგიტატორებს სთხოვა დიდ ოთახში შეკრებილიყვნენ.

ოთახში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ტრიბუნასთან მივიდა, უბის წიგნაკი გადაშალა და აგიტატორებს მიმართა:

— საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეები დადგა. ნამდვილად კარგი გაზაფხულია. მაგრამ იგი ჩვენთვის კიდევ უფრო კარგი იქნება, თუ გაზაფხულის სამუშაოებს დროულად და აგროტექნიკის მოთხოვნათა სრული დაცვით შევასრულებთ.

კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა შაქრის ჭარხლის თესვა 55 ჰექტარზე. მაგრამ დასათესია 170 ჰექტარი სიმინდი, გაზაფხულის ხორბალი, ბოსტნეული. ბევრი სამუშაოა ბაღებსა და ვენახებში.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ახლა პოლიტიკური მუშაობის ცენტრი მინდვრად გადავიტანოთ, აგიტატორის მოორგანიზებელი, მგზნებარე სიტყვა მინდვრად პრაქტიკულ საქმეს დავუკავშიროთ.

აგიტატორებმა უბის წიგნაკები ამოიღეს, გადაფურცლეს, ციფრებს ჩახედეს. თავმჯდომარემ ეს შეამჩნია და დაუმატა:

— ასეა. აგიტატორმა უნდა იცოდეს თავისი ბრიგადის ამოცანები.

აგიტატორებმა გაიღიმეს. ზოგმა მათგანმა შეკითხვებით ბრიგადის ამოცანები დააზუსტა, უმეტესობა კი მანქანებზე, თესლზე, ინვენტარსა და სასუქებზე ეკითხებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ყველაფერი გაირკვა. კოლმეურნეობა მზად აღმოჩნდა თესვისათვის.

მეორე დღეს მზიანი დილა გათენდა. არცევის კოლმეურნეობის მინდვრებსა და ფერმებს 25 აგიტატორმა მიაშურა. რ. კუსრაევმა ორი წლის წინათ დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობს. მოწინავე ახალგაზრდამ მალე მიიპყრო გამოცდილ კოლმეურნეთა ყურადღება. პარტიულმა ორგანიზაციამ მას პირველი ბრიგადის აგიტატორობა დაავალა. რეზო ახლა მექანიზატორებთან ტრიალებს.

დტ-24 მარკის ტრაქტორი ბაღის შესასვლელთან, ალვის ხეებთან გაჩერდა. მის გვერდით „ბელარუსი" დამუხრუჭეს. ტრაქტორისტებმა ა. ცაციაშვილმა და გ. კაზიევმა მანქანებს შემოუარეს, მუხლუხები შეათვალიერეს და შესაწამლავ აპარატზე მომუშავე ახალგაზრდებს ვ. გოიაევს, მ. ხუბულოვს, გ. და მ. გოიაევებს სთხოვეს რეზინის შლანგები მოეხსნათ და საუზმემდე გაეწმინდათ. ახალგაზრდებმა ტრაქტორისტების თხოვნა მალე შეასრულეს.

ტრაქტორისტები კარგად შენაყრდნენ, ჩიბუხიც გააბოლეს, შემდეგ კი აგიტატორ რ. კუსრაევის ირგვლივ შეიკრიბნენ ახალი ამბების მოსასმენად.

მამაცობაა აზვირთებულ ოკეანესთან ბრძოლა. ასეთი გმირობა მხოლოდ საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ, — ლაპარაკობდნენ არცეველი მექანიზატორები ოთხი საბჭოთა მეომრის შესახებ, რომლებმაც 49 დღე გაუძლეს ბუნების სტიქიასა და შიმშილს წყნარ ოკეანეში.

— სალომეს საქმე როგორ მიდის? — შეეკითხა აგიტატორს მ. გოიაევი.

— სალომე პირნათლად ანაღდებს ვალდებულებას!

— რომელ სალომეზე ლაპარაკობთ?— ჩაერია საუბარში ტრაქტორისტი ა. ცაციაშვილი.

— ჩვენი ახალგაზრდა მწველავია, ომში დაღუპული ვანო ხუბულოვის ქალიშვილი, იასონმა რომ გაზარდა, ალბათ იცით!

— ჰო, ის მართლაც მშვენიერი გოგონაა!

— დიახ, მშვენიერი გოგონაა, — განაგრძო აგიტატორმა, — შარშან თვითეულ ძროხაზე 2.000 ლიტრი რძე მიიღო, ნამატი მთლიანად შეინარჩუნა. წელს 2.200 ლიტრის მიღება იკისრა, პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით გაანაღდა.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 1.000 ტონა ვაშლი მიჰყიდა. მოსავლიანობის დავალებას დიდად გადავაჭარბეთ. ქების ღირსი არიან კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, რომელსაც ვ. გოიაევი ხელმძღვანელობს. ხილის მოსავლიანობის მხრივ მათ პირველი ადგილი დაიკავეს. არც ჩვენი ბრიგადა ჩამორჩენილა, შარშან ჰექტარზე 74 ცენტნერი ვაშლი მივიღეთ.

— სოფელი მადლობელია თქვენი, რომ დროულად დათესეთ შაქრის ჭარხალი. აგრონომი ა. მელაძე აქებს თქვენს ნამუშევარს. იძახის, თუ მექანიზატორებმა კარგად მოუარეს პლანტაციას, შაქრის ჭარხალს შარშანდელზე მეტს მივიღებთო. ახლა ენახოთ, როგორ ჩაატარებთ წამლობას ბაღში, — საუბრობდა აგიტატორი ტრაქტორისტებთან.

— იმედი იქონიეთ, ჩვენს მოვალეობას პირნათლად შევასრულებთ, — თქვეს მექანიზატორებმა და მუშაობას შეუდგნენ. ტრაქტორები გუგუნით მისდევენ რიგებს. ზეთოვანი ემულსია წვიმასავით ეფინებოდა ვეებერთელა კეხურებს, შამპანურ რენეტებს, სინაპებს... შეწამლულ ბაღში კი მეხილეები ვედროებით ხელში ხის ძირებს წმენდნენ და კირის ხსნარით ათეთრებდნენ.

იმავე დღეს ნაშუადღევს კოლმეურნეობის სასიმინდე ნაკვეთებს ვესტუმრეთ. გზაში აგიტატორი ბ. კოზაევი შეგვხვდა. იგი აღმოცხველად მუშაობს კოლმეურნეობაში და პოლიტიკური მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. აგიტატორს ხელში ეჭირა ახალი ჟურნალ-გაზეთები და ცნობა ტრაქტორების მუშაობის შესახებ. ტრაქტორისტი ვ. ვალიევი და ა. ლაფაჩი სასიმინდე ნაკვეთების აოშვაზე მუშაობდნენ. აგიტატორი კმაყოფილი იყო მათი საქმიანობით.

— მგონი ხვალ დაამთავრებენ „ძეძვების" აოშვას;

— ხვალ? — კარგია, — უთხრა აგრონომმა. თესლი მზად არის, სათესები წესრიგში მოვიყვანეთ და ამ დღეებში სიმინდის თესვას შევუდგებით. ძირითადად ჰიბრიდულ სიმინდს დავთესავთ, 50 ჰექტარით მეტს, ვიდრე შარშან.

აგრონომმა მექანიზატორებს აოშილი შეუმოწმა, მოუწონა და სთხოვა, რომ ამ ნაკვეთის დამთავრების შემდეგ მესამე ბრიგადაში გადასულიყვნენ სამუშაოდ.

ამ დღეს საუბრები გაიმართა კოლმეურნეობის სხვა ბრიგადებშიც. აგიტატორმა რეზო ბოლათაევმა „სავლე ფურცელი" გამოუშვა მეხუთე ბრიგადაში. ფურცელი ბრიგადის წევრებს მოუთხრობდა კოლმეურნეების ფ. კაზიევის, ყ. გუზიტაევის, ივანე ცაციაშვილის სამაგალითო შრომაზე. მათ შესანიშნავად გაასუფთავეს მავნებლებისაგან და კირის ხსნარით შეათეთრეს ხეხილის ძირები.

საღამოს ფერმაში მოეწყო აგიტატორ ს. ხუბულოვისა და თამარ ხუბულოვას საუბრები. წითელ კუთხეში ვეებერთელა დაფაზე გამოტანილი მწველავთა სია მაჩვენებლებით მიმსვლელის ყურადღებას იპყრობს. ამ მაჩვენებლების ირგვლივ გამართა საუბარი აგიტატორმა. სერგომ ილაპარაკა ნამატის შენარჩუნების, პირუტყვის კვების გაუმჯობესების, მოწინავე მწველავთა გამოცდილების შესახებ.

საღამოს, როცა კოლმეურნეები მინდვრებიდან შინ ბრუნდებოდნენ, სოფლის ქუჩებში გაისმოდა ადგილობრივი დიქტორის ხმა მინდვრის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. არცეველები დიქტორის სიტყვებში ხედავდნენ სინამდვილეს, ნახულ ფაქტებს, რომლებსაც ისინი თავიანთი თვალით უყურებენ მინდვრებზე.

შრომობს სტალინირის რაიონის სოფელი არცევი და ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევს. ამ წარმატებებში ცოტა წვლილი როდი აქვთ შეტანილი აგიტატორებს.

**ი. თედიაშვილი.**

### გაზეთების ფურცლებზე

## მხარდამხარ

**ლითონლოგით** იზრდება მრეწველობის მოთხოვნილება ქართულ მარგანეცზე. ძვირფასი მადანი იგზავნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. თავისთავად ცხადია, რომ მეტალურგიულ საწარმოთა შეუფერხებელი მომარაგება მარგანეცით მარტო მაღაროელებზე არ არის დამოკიდებული. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ რკინიგზელებს და მეზღვაურებს, რომლებიც მაღაროელთა მხარდამხარ იბრძვიან შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ამიტომ მისასალმებელია ჭიათურის საქალაქო გაზეთის **„ჭიათურის მაღაროელის"**, სამტრედიის რაიონული გაზეთის **„წინსვლისა"** და ფოთის საქალაქო გაზეთის **„მგზნებარე კოლხიდელის"** ინიციატივა, რომლებმაც ამ დღეებში მისცეს საერთო ნომრები, სადაც მოთხრობილია ჭიათურის მაღაროელების, სამტრედიის რკინიგზის განყოფილების რკინიგზელებისა და ფოთის ნავსადგურის მუშაკების შრომაზე.

გაზეთებში დაბეჭდილი მოწინავე წერილი „შვიდწლედის მოწინავე ხაზზე, ამხანაგებო!" მკითხველებს მოკლედ აცნობს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა ამ სამი კოლექტივის მიღწევებს, მოგვითხრობს მათ შეთანხმებულ, ხელიხელჩაკიდებულ მუშაობაზე. აქვე, მოწინავე წერილში ჩაჰრთულია პატარა რუკა, რომელზეც ნაჩვენებია ქართული მარგანეცის გზა მაღაროებიდან ხომალდების ტრიუმებამდე.

შიდა გვერდებში დაბეჭდილ წერილებში მაღაროელები, რკინიგზელები, მეზღვაურები ერთმანეთს მოუთხრობენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე. აქ ლაპარაკია არა მარტო მიღწევებზე, არამედ იმაზეც, თუ რა უშლით მათ ხელს უკეთ მუშაობაში. მაგალითად, ფოთის ნავსადგურის უფროსი კ. რეკვავა წერს, რომ ზოგჯერ მაღაროელები და რკინიგზელები აფერხებენ ნავსადგურის რიტმულ მუშაობას, დროზე არ აწოდებენ ტვირთს ნავსადგურში მოსულ გემებს.

გაზეთების მეოთხე გვერდი დათმობილი აქვს სამი ქალაქის — ჭიათურის, სამტრედიისა და ფოთის ცხოვრებას. დაბეჭდილ წერილებში მოთხრობილია, თუ როგორ იცვალეს სახე ამ ქალაქებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

## გამრჯე შრომაში,

**საშა ხარშილაძეს** ბევრი რამ კარგი სმენოდა და წაეკითხა ჭიათურელ მაღაროელთა შრომითს მამაცობაზე, მათს საქმიანობაზე. ამიტომ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მაღაროს მიაშურა. გამრჯე და შრომისმოყვარე ჭაბუკს სამუშაოზე უარს ვინ ეტყოდა. პროფესიაც პერსპექტიული აირჩია. გული მექანიზმებისაკენ მიუწევდა, მარგანეცის სატვირთო მანქანის დაუფლებას შეუდგა. იმხანად დიმიტროვის სახელობის მაღაროში განთქმული მემანქანე იყო კ. დარბაიძე. საშა მის დამხმარედ დანიშნეს. გულიანად მოჰკიდა ჭაბუკმა საქმეს ხელი, სწრაფად შეისწავლა მანქანის მართვა და მასწავლებელს როდი ჩამოუვარდებოდა. მალე მას მანქანა ჩააბარეს. თვალისჩინივით უვლიდა და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა.

1957 წელს ჭიათურაში საექსპლოატაციოდ გადაეცა მექანიზებული მაღარო, „ახალი ითხვისი". საჭირო იყო ახალგაზრდა კადრები და ს. ხარშილაძეც იქ გადავიდა სამუშაოდ. ახალ მაღაროში უფრო გამოჩნდა ჭაბუკის გამჭრიახობა, უნარი და შრომისმოყვარეობა.

ამ მაღაროში გვირაბები ჩქაროსნული მეთოდით გაჰყავთ. ამისათვის კომპლექსური ბრიგადა შექმნეს. ბრიგადის წამყვანი მუშა, მისი სული და გული დახელოვნებული მემანქანე ს. ხარშილაძეა. მაგრამ იგი მარტო მემანქანე როდია, კარგად არის დაუფლებული მებიგისა და დურგლის პროფესიას. სწორედ ასეთი მაღაროელი სჭირდება კომპლექსურ ბრიგადას.

ს. ხარშილაძე განსაკუთრებული გულისყურით უვლის მანქანას, მუდამ წესრიგში და სუფთად აქვს. დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე დროის ფაქტორს. სამუშაო დროს, რომ იტყვიან, წამობით ანგარიშობს, ტექნიკას სწურავს იმის მაქსიმუმს, რისი მოცემაც მას შეუძლია. ამაშია ახალგაზრდა მაღაროელის წარმატების საიდუმლოება. იგი ცვლაში გეგმის გადამეტებით 20-25 ტონა მარგანეცს ტვირთავს, დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებს.

ამას წინათ მის ცხოვრებაში ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — წარჩინებული მაღაროელი და აქტიური კომკავშირელი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს. იგი დაუღალავი საზოგადოებრივი მუშაკიც არის. არჩეულია კომკავშირის ჭიათურის ქალაქკომის წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

თავის საწარმოო გამოცდილებას საშა ხალისით უზიარებს ამხანაგებს. მემანქანეობა შეასწავლა ახალგაზრდებს რ. ნარჩემაშვილს, ვ. ტაბატაძეს და სხვებს.



## სწავლაში

ახალგაზრდა მაღაროელს არც სწავლის წყურვილი განელებია. გასულ წელს ჩააბარა გამოცდები საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე და წარმატებით სწავლობს სამოქალაქო და სამრეწველო ნაგებობათა მშენებლობის ფაკულტეტზე. იგი შრომაში გამრჯე და დაუზარელია, სწავლაში ბეჯითი და შეუპოვარი.

**პ. პიოკაძე.**

• • •

სურათზე: ს. ხარშილაძე.

## მ. შოლოხოვი




### წიგნი მეორე

### თავი VII

მზის ჩასვლისას დავიდოვმა სვრელის ბოლოს ხარები გამოხსნა და რქებზეც შემოხსნა თოკი. კვალის პირ ბალახზე დაჯდა, ფიჯაკის სახელოთი შუბლზე ოფლი შეიწმინდა, აკანკალებული ხელით თამბაქო შეახვია — და მხოლოდ მაშინ იგრძნო, რა ძლიერ დაიღალა. ზურგი ტეხდა, მუხლებში რაღაცა ღრღნიდა, და, ვით მოხუცს, ხელები უცახცახებდა.

— განთიადზე ხარებს ვიპოვნით? — ჰკითხა ვარიას.

ქალი მის პირდაპირ იდგა ხნულში. დიდრონი მოთელილი მაშიები ეცვა და კოჭებამდე იფლობოდა ის იყო გუთნით მოხნულ ფხვიერ მიწაში. სახეზე დამტვერილი თავსაფარი გადაიწია და უთხრა.

— ვიპოვნით, ღამით შორს არ მიდიან ხოლმე.

დავიდოვმა თვალები მოხუჭა და ხარბად ეწეოდა თამბაქოს. არ სურდა ქალიშვილისთვის ეცქირა, ვარიამ კი, ბედნიერი და დაღლილი ღიმილით რომ მთლად გაბრწყინებულიყო, წყნარად უთხრა:

— დაგვტანჯე მეცა და ხარებიც. ერთობ იშვიათად ისვენებ.

— მეც მაგრა დავიტანჯე, — დაღვრემით წაილაპარაკა დავიდოვმა.

უფრო ხშირად უნდა დაისვენო, ძია კონდრატე თითქოს ხშირად ისვენებს, ხარებსაც ქარს ამოაღებინებს, მაგრამ მუდამ ყველაზე მეტს ხნავს. შენ კი უჩვევი ხარ და აგრე მოიქანცე...

სურდა დაემატებინა: „საყვარელოო“, მაგრამ შეეშინდა და ენას კბილი დააჭირა.

— ეგ მართალია, ჯერ მიუჩვეველი ვარ, — დაეთანხმა დავიდოვი.

ძლივს წამოდგა, ძლივს გადაადგა ნატკენი ფეხები და კვალს გაჰყვა საველე ბანაკისაკენ. ვარია უკან მიჰყვებოდა, მერე გაუსწორდა და მხარდამხარ წავიდნენ. დავიდოვს მარცხენა ხელით მიჰქონდა გახეული, გამოხუნებული მატროსული ტანსათბური. ჯერ კიდევ დღისით, გუთანს რომ მართავდა, დაიხარა. საყელო ჯაგს გამოსდო და, როცა წელში გაიმართა, ტანსათბური შუაზე გაფხრიწა. დღე საკმაოდ ცხელი იყო და მშვენივრად შეიძლებოდა უამისობა, მაგრამ ძლიერ დაირცხვინა ქალიშვილთან წელ ზევით შიშველი მუშაობა. მატროსული ტანსაცმლის კალთები საჩქაროდ შარვალში ჩაიტანა და ვარიას ჰკითხა, რაიმე ქინძისთავი ხომ არ გაქვსო. ქალმა უპასუხა, სამწუხაროდ, არა მაქვსო. დავიდოვმა ნაღვლიანად გაჰხედა ბანაკს. იქამდე სულ ცოტა ორი კილომეტრი იქნებოდა. „იქ ასვლა მაინც მომიხდება“, — გაიფიქრა დავიდოვმა, წყენით კიდევაც დაიკვნესა, მერე ჩუმად შეიგინა და თქვა:

— აი რა, ვარიუხა-გორიუხა, შენ აქ დამიცადე, მე ბანაკში მივირბენ.

— რათა?

— ამ ჯღანს გავიხდი და ფიჯაკს ჩავიცვამ.

— ფიჯაკში დაგცხება.

— არა, მაინც წავალ, — ქინიანად თქვა დავიდოვმა.

ჰაი გიდი, აბა როგორ უნდა ეკოხტავნა უფიჯაკოდ! ისღა აკლია, რომ ამ სასურველმა, უმანკო გოგონამ დაინახოს რა ახატია მას მკერდსა და მუცელზე. მართალია, სვირინგება დავიდოვის ფართო მკერდის ორივე მხარეზე უბრალო და ოდნავ სენტიმენტალურიცაა: ფლოტის მხატვრის ხელს ოსტატურად გამოუსახავს ორი მტრედი; გაინძრევა თუ არა დავიდოვი, ცისფერი მტრედებიც ამოძრავდებიან, ხოლო როცა მხრებს აიჩეჩავს, მტრედები ნისკარტით შეეხებიან ერთმანეთს, თითქოს იკოცნებიანო. ეს არის და ეს. მაგრამ მუცელზე კი... ეს ნახატი დავიდოვის დიდი ხნის ზნეობრივი ტანჯვის საგანი იყო. სამოქალაქო ომის წლებში ახალგაზრდა, ოცი წლის დავიდოვი ერთხელ სასტიკად დათვრა. ნაღმოსნის სენაკში კიდევ ერთი ჰიქა სპირტი მიუტანეს. უგონოდ იწვა ქვემო მერხზე, პერანგის ამხანაგის ამარა, ორი მთვრალი მეგობარი კი მეზობელი ტრაულერიდან — სვირანგების ოსტატები — დავიდოვის მუცელზე შრომობდა და თავის აღვირახსნილ მთვრალ ფანტაზიას უწმაწურობაში წაფავდა. ამის შემდეგ დავიდოვი აბანოში აღარ წასულა, ხოლო სამედიცინო გასინჯვის დროს მტკიცედ მოითხოვდა, რომ მხოლოდ მამაკაც ექიმებს გაესინჯათ.

უკვე დემობილიზაციის შემდეგ, ქარხანაში მუშაობის პირველ წელს, დავიდოვმა როგორღაც გაბედა აბანოში წასვლა. ორივე ხელი მუცელზე დაიფარა და ისე მოძებნა თავისუფალი გოვზაკი. თავი კარგად გაისაპნა — და თითქმის მაშინვე სადღაც ახლოს, ქვემოდან, წყნარი სიცილი მოესმა. დავიდოვმა სახეზე წყალი შეისხა, საპონი მოიშორა და დაინახა: ვიღაც ხანშიშესული, მელოტი მოქალაქე დახრილიყო და პირდაპირ, მოურიდებლად ათვალიერებდა ნახატს დავიდოვის მუცელზე, თანაც, ალტაცებით სუნთქვაშეკრული, წყნარად ხითხითებდა. დავიდოვმა აუჩქარებლად გადაღვარა წყალი და მეტისმეტად ცნობისმოყვარე მოქალაქეს მუხის მძიმე გოვზაკი მელოტ თავში ჩაუკაკუნა. მან კი ვერ მოასწრო ბოლომდე დაეთვალიერებინა ნახატი, თვალები დახუჭა და იატაკზე დაწვა. კვლავ ისევე აუჩქარებლივ დაიბანა დავიდოვმა ტანი, მელოტს მთელი გოვზაკი ყინულივით ცივი წყალი გადაასხა და, როცა იმან თვალები აახამხამა, აბანოს წინა ოთახისაკენ გაემართა. მას შემდეგ დავიდოვი საბოლოოდ გამოეთხოვა სიამეს გემრიელად, რუსულად დაორთქლილიყო აბანოში, და ამჯობინებდა შინ დაებანა ხოლმე. მხოლოდ იმის ფიქრზე, რომ ვარიას შეეძლო თვალი მოეკრა მისი მოხატული მუცლისათვის, დავიდოვს ელეთ-მელეთი მოსდიოდა, და უფრო მჭიდროდ იხვევდა ტანსათბურის გაშლილ კალთებს.

— შენ ხარებს უღელი მოხადე და საძოვარზე გაუშვი, მე კი წავალ, — უთხრა და ამოიხვნეშა. სრულიადაც არ ესიამოვნებოდა შემოევლო ნახნავისათვის ან სამი კილომეტრი ებოჩინებია ხნულში, და ყოველივე ეს რაღაც უაზრო შემთხვევის გამო.

მაგრამ ვარიამ თავისებურად გაიგო დავიდოვის განზრახვა. „ერიდება ჩემს ძვირფასს უპერანგოდ ჩემს ახლოს მუშაობა“, — გადაწყვიტა და რაკი გულში მადლიერი იყო იმ გრძნობისათვის, რომ დაზოგა ქალწულის მოკრძალება, სასწრაფოდ გაიხადა მაშიები.

— მე უფრო მალე მივირბენ!

დავიდოვმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ქალი ჩიტივით მიფრინავდა ბანაკისაკენ. შავ ხნულში კრთოდა მისი ჩქარი ფეხების შავგვრემანი ნაკუთლები და პირქარი ზურგზე უფრიალებდა თეთრი თავსაფრის ბოლოებს. ოდნავ წინწახრილი მირბოდა, დამუშტული ხელები მკვრივ ძუძუებზე მიეჭირებინა და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა: „მივირბენ, ფიჯაკს მივუტან... ჩქარა მივირბენ, ვაამებ, და იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ მაინც შემომხედავს ალერსიანად, ან იქნებ კიდევაც მითხრას: გმადლობ, ვარია!“

დავიდოვი დიდ ხანს ადევნებდა თვალს, მერე ხარები გამოუშვა და ნახნავიდან გამოვიდა. იქვე ახლოს იპოვნა ხვიარა, შარშანდელ სარეველას რომ შემოხვეოდა, ფოთლები გააცალა, მოქნილი კენწალი კი ზონარივით მჭიდროდ გაუყარა ტანსათბურის კალთებს. გულაღმა დაწვა და მაშინვე ჩაეძინა, თითქოს რაღაც შავში, რბილში ჩაეფლაო, მიწის სუნი რომ სდიოდა...

იმის გამო გაეღვიძა, რომ შუბლზე რაღაც დააცოცავდა, ალბათ ობობა ან ჭია რაიმე. შეჭმუხნულმა სახეზე ხელი ჩამოისვა, კვლავ თვლემა დაიწყო და ლოყაზე ისევ რაღაც აცოცდა, მერე ზემო ტუჩზე აღოლდა და ცხვირში შეუღიტინა. დავიდოვმა ცხვირი დააცემინა და თვალი გაახილა. მის წინ ვარია ჩაცუცქებულიყო და მთლად ცახცახებდა ძლივს შეკავებული სიცილით. დავიდოვს ხმელი ბალახის ღეროს უსვამდა სახეზე, და ხელის დამალვა ვერ მოასწრო, რომ დავიდოვმა თვალი გაახილა. მან ხელი სტაცა ქალს წვრილ მაჯაში, მაგრამ ვარია როდი ცდილა ხელი გაეთავისუფლებინა, მხოლოდ ცალ მუხლზე დაიჩოქა და მისი მოცინარე სახე მყის შეშინებულ-მომლოდინე და მორჩილი გახდა.

— ფიჯაკი მოგიტანე, ადექი, ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა და ოდნავ სცადა ხელის გათავისუფლება.

დავიდოვმა თითები შეუშვა. მისი ხელი, დიდი და მზით გარუჯული, მუხლზე დაეცა. ქალმა თვალები მოხუჭა, ესმოდა თავისი გულის მკაფიო და ხშირი ძგერა. ჯერ კიდევ რაღაცას ელოდა და რაღაცის იმედი ჰქონ[illegible] მაგრამ დავიდოვი დუმდა. მკერდი მისი მშვიდად და [illegible]ნაბრად სუნთქავდა, სახეზე არ შეკრთომია არც [illegible] ძარღვი. მერე წამოიწია, მტკიცედ დაჯდა, მარჯვენა [illegible]ხი მოიფრთხნა, ხელი ზანტად ჩაიყო ჯიბეში და ქისა [illegible]სინჯა. ახლა იმათი თავები თითქმის ეხებოდნენ ერ[illegible]ნეთს. დავიდოვმა ნესტოები აამოძრავა და იგრძნო [illegible] თმის ნაზი და ოდნავ ტკბილი სუნი. და ისედაც [illegible] მთლად. გაჟღენთილი იყო შუადღის მზით, სიცხით გ[illegible]რებული ბალახისა და ახალგაზრდობის იმ უბადლო, [illegible]ჩი და მომხიბვლელი სურნელებით, რისი სიტყვით [illegible] მოცემა ჯერ ვერავინ შეძლო, ვერავინ მოახერხა.

„რა საყვარელი გოგოა!“ — გაიფიქრა დავიდოვმა და ამოიოხრა. თითქმის ერთსა და იმავე დროს ადგნენ ორივენი, რამდენიმე წამს უხმოდ შესცქეროდნენ თვალებში ერთმანეთს, მერე დავიდოვმა ფიჯაკი გამოართვა, ალერსიანად გაუღიმა მხოლოდ თვალებით:

— გმადლობ, ვარია!

სწორედ ასე უთხრა: „ვარია“ და არა „ვარიუხა-გორიუხა“. ბოლოს და ბოლოს ახდა ის, რაზეც ფიქრობდა, როცა ფიჯაკისათვის მირბოდა. მერე ჩიხ თვალებში რად მოეძალა ცრემლი და, როცა მისი შეკავება სცადა, რად აუთრთოლდა ხშირი შავი წამწამები? რა გატირებს, სასურველო ქალიშვილო? იგი კი უხმოდ ატირდა, რაღაც მშვიდი, ბავშვური უმწეობით, და თავი დახარა. მაგრამ დავიდოვი ვერაფერს ხედავდა: იგი გულდასმით ახვევდა თამბაქოს და ცდილობდა ერთი ცახეც არ დაბნეოდა. პაპიროსი გამოელია, თამბაქოც ელეოდა და ზოგავდა, ახვევდა წვრილ, აკურატულ პაპიროსებს, სულ მხოლოდ ოთხი-ექვსი კარგი ნაფაზისათვის.

ქალი ერთხანს იდგა, ამაოდ ცდილობდა დამშვიდებულიყო, მაგრამ ვერ შეძლო გული გაემაგრებინა, სხარტად მოტრიალდა ქუსლებზე, ხარებისკენ წავიდა და გზად წაილაპარაკა:

— წავალ, ხარებს მოვრეკავ.

მაგრამ დავიდოვმა აქაც ვერ შეამჩნია სასტიკი მღელვარება მის აკანკალებულ ხმაში. მან უხმოდ დაუქნია თავი, თამბაქო მოსწია და გულმოდგინედ დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რამდენ დღეს მოახერხებდა ბრიგადა თავისი ძალებით მოეხნა მთელი სამაისო ანეული, და განა უკეთესი არ იქნება, რომ ყველაზე ძლიერი მესამე ბრიგადიდან აქ გადმოიყვანოს რამდენიმე გუთნეული?

ვარიასთვის უფრო მოხერხებული იყო ტირილი, როცა დავიდოვი მის ცრემლს ვერ დაინახავდა. და იგიც ტიროდა სიამოვნებით, ცრემლები შავგვრემან სახეზე მოუგორავდა და უმალვე იწმენდდა თავსაფრის ყურებით...

მისი პირველი, წმიდა, ქალწულებრივი სიყვარული წააწყდა დავიდოვის გულგრილობას. მაგრამ, ამას გარდა, დავიდოვი საერთოდ ბეცი იყო სიყვარულის საქმეებში და ბევრი რამ ვერ სწვდებოდა მის შეგნებას, ხოლო თუ მისწვდებოდა, მუდამ მნიშვნელოვანი შეფერხებით, ზოგჯერ კი გამოუსწორებელი დაგვიანებით...

ხარებს რომ აბამდა უღელში, ვარიას ლოყებზე დაინახა რუხი ზოლები, წელან დაღვრილი და მისგან შეუმჩნეველი ცრემლების კვალი. მის ხმაში საყვედური გაისმა:

— ჰაი-ჰაი-ჰაი, ვარიუხა-გორიუხა! შენ დღეს, როგორც გეტყობა, პირი არ დაგიბანია.

— რაზე მეტყობა?

— სახეზე რაღაც ზოლები გაქვს. პირი ყოველდღე უნდა დაიბანო, ჭკუის სასწავლად უთხრა მან.

მზე ჩავიდა, ისინი კვლავ ზანტად მიაბოტებდნენ ბანაკისაკენ. ბინდი ეფინებოდა ტრამალს. ძეძვიანი ხრამი ნისლმა მოიცვა. მუქ-ლურჯი, თითქმის შავი ღრუბლები დასავლეთში ნელა იცვლიდნენ ფერს: ჯერ მათი ქვემო კიდე დაფარა მქრქალმა მეწამულმა, მერე სისხლივით წითელმა დაფიონმა გამსჭვალა ისინი მთლად, სწრაფად აცოცდა ზევით და ფართო ცისარტყელასავით მოედო ცას. „არ შემიყვარებს...“ — ნაღვლიანად ფიქრობდა ვარია და მწუხარებით კუმავდა სქელ ტუჩს. „ხვალ ძლიერი ქარი იქნება, ერთ დღეში მიწა გამოშრება და მაშინ ხარებს ძალიან გაუჭირდებათ...“ — უკმაყოფილოდ ფიქრობდა დავიდოვი და მგზნებარე დაისს თვალს არ აშორებდა.

ვარიას სულ მუდამ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ უცნაური ძალა აკავებდა. როცა ბანაკი შორს აღარ იყო, როგორც იქნა, გაბედა.

— მომეცი შენი პერანგი, — წყნარად სთხოვა, — და, რაკი ეშინოდა, უარი არ მითხრასო, ხვეწნით დასძინა: — მომეცი, გეთაყვა!



— რისთვის? — გაუკვირდა დავიდოვს.

— გავკერავ, ისე სუფთად გავკერავ, რომ ნაკერავს ვერც კი შეამჩნევ. და კიდევაც გავრეცხავ.

დავიდოვს გაეცინა:

— სულ შემომალპა ოფლით ტანზე. გინდა დააკერე და გინდა გადააკერე, როგორც ნათქვამია. არა, ძვირფასო, ვარიუხა-გორიუხა, ამ ტანსათბურს სამსახური ვადა გაუვიდა, ჩვრად გამოადგება კუპრიანოვას ჯიხურში იატაკის საწმენდად.

— მომეცი, გავკერავ, ვსინჯავ და მერე ნახავ, — დაჟინებით თხოვდა ქალიშვილი.

— აჰა ინებე, მხოლოდ შრომა ამაოდ ჩაგივლის, — დაეთანხმა დავიდოვი.

მისთვის უხერხული იყო ბანაკში მისულიყო და ხელში ჰქონოდა დავიდოვის ზოლიანი პერანგი: ბევრ მითქმა-მოთქმასა და უზოდიშო ხუმრობას გამოიწვევდა... მან ცერად ქურდულად შეავლო თვალი დავიდოვს, მხარი იფარა და პატარა თბილი გორგალი უბეში იტუცა.

უცნაური, უცნობი და მღელვარე გრძნობა განიცადა იმ წუთში, როცა დავიდოვის მტვრიანი ტანსათბური შიშველ მკერდზე მიედო: თითქოს მამაკაცის ძლიერი სხეულის ცხელი სითბო შეერთო და მთლად, კიდემდე აავსო... მყის გაუშრა პირი, ვიწრო შუბლი ოფლმა დაუცვარა, და სიარულიც კი უეცრად რაღაც ფრთხილი და უმტკიცი გაუხდა.

დავიდოვი კი ვერაფერს ამჩნევდა, ვერაფერს ხედავდა. ერთი წუთის შემდეგ უკვე დაავიწყდა, რომ ჭუჭყიანი ტანსათბური მიაჩეჩა, და მხიარულად წამოიძახა:

— შეხე, ვარიუხა, რა პატივს სცემენ გამარჯვებულთ! ის ხომ ალმრიცხველია, ქუდს რომ აქნევს. მაშასადამე, მე და შენ სინდისიერად გვიმუშავნია, ფაქტია!

ვახშმის შემდეგ ჯიხურის ახლოს მამაკაცებმა კოცონი გააჩაღეს და თამბაქოს მოსაწევად შემოუსხდნენ.

— აბა, ახლა — გულწრფელად: რატომ მუშაობდით ცუდად? ასე რად გააჭიანურეთ ხვნა? — იკითხა დავიდოვმა.

— იმ ბრიგადებში ხარი მეტია, — მიუგო უმცროსმა ბესხლებნოვმა.

— რამდენით მეტია?

— განა არ იცი? მესამეში რვა უღლით მეტია, ეს კი, როგორც გინდა იანგარიშე, ოთხი გუთანია! პირველში ორი გუთნით მეტია, ისინიც, გამოდის, ჩვენზე ძლიერი არიან.

— ჩვენ გეგმაც მეტი გვაქვს, — დასძინა პრიანიშნიკოვმა.

დავიდოვმა ჩაიცინა.

— და ბევრად მეტია?

— თუმცა ოცდაათი ჰექტარით, მაინც მეტია. ამასაც ხომ ცხვირით ვერ მოჩიჩქნი.

— გეგმა ხომ მარტში დაამტკიცეთ? ახლა რაღას წუწუნებთ?

ბრიგადების მიწებზე იყო გაანგარიშებული, ხომ ასე იყო?

დუბცოვმა დინჯად თქვა:

— არავინ არ წუწუნებს, დავიდოვ, საქმე ეს როდია. ხარები ცუდი ნაზამთრი გამოდგნენ ჩვენს ბრიგადაში, თივაც და ჩალაც ჩვენს ბრიგადაში ნაკლები აღმოჩნდა, როცა პირუტყვი და საკვები განვაზოგადეთ. შენ ეს მალიანაც კარგად იცი და ტყუილა შარს ნუ გვდებ. ჰო, გავაჭიანურეთ, ჩვენი ხარები მეტწილად სუსტი გამოდგნენ, მაგრამ საკვები, როგორც რიგია, უნდა გაგენაწილებინათ, და არა ისე, როგორც შენ და ოსტროვნოვმა მოიფიქრეთ: რაც პიროვნულმა მეურნეებმა ჩააბარეს, იმით კვებეთ გამხდარი პირუტყვიო. ჰოდა, ახლა ასე გამოვიდა: ვინც ხვნა მოათავა, თიბვისათვის ამზადებს პირუტყვს, ჩვენ კი ისევ ანეულში ვჩხირკედელაობთ.

— თუ კი აგრეა, დაგეხმარებით, ლიუბიშკინი დაგეხმარებათ, — უთხრა დავიდოვმა.

— ჩვენც უარს არ ვიტყვით, — განაცხადა დუბცოვმა, რომელსაც მდუმარე თანხმობით დაუჭირა ყველამ მხარი. — ამაყნი როდი ვართ...

მხოლოდ შუაღამისას გამოარკვიეს ზუსტად საჭირო დახმარების ოდენობა და ხვნის დამთავრების ვადები. იქვე, კოცონთან, დავიდოვმა ბარათი მისწერა რაზმიოტნოვს, ხოლო დუბცოვმა იკისრა ახლავე, დაუყოვნებლივ, არ დალოდებოდა განთიადს და წასულიყო ხუტორში, რათა სადილობისას მესამე ბრიგადიდან მოერეკა ხარები გუთნებიანად და ლიუბიშკინთან ერთად თვითონ შეერჩია ყველაზე გამრჯელი გუთნისდედები. ჩამქრალ კოცონთან ერთხელ კიდევ მდუმარედ მოსწიეს თამბაქო და დასაძინებლად წავიდნენ.

ჯიხურთან კი ამ დროს სხვაგვარი საუბარი იყო. უბრალო რკინის ტაშტში ვარია სათუთად რეცხავდა დავიდოვის ტანსათბურს, იქვე იდგა მზარეული ქალი და დაბალი, თითქმის მამაკაცური ხმით ამბობდა:



დავიდოვმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ქალი უკვე ჩიტივით მიფრინავდა ბანაკისაკენ.

— შენ რა გატირებს, სულელო?

— იმის პერანგს მარილის სუნი სდის...

— მერე რა? ვინც მუშაობს, ყველას პერანგს მარილისა და ოფლის სუნი სდის და არა სუნამოსა და სურნელოვანი საპნის. რა გაღრიალებს? ხომ არაფერი უწყენინებია?

— არა, რას ამბობ, დეიდა!

— მაშ ე ცრემლი რაღაა, ტუტუცო?

— სხვის პერანგს ხომ არ ვრეცხავ, იმისია, ახლობლის... — უთხრა ქალიშვილმა, ტაშტზე რომ თავი დაეხარა და ძლივს იკავებდა მოგუდულ ქვითინს.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ მზარეულმა დოინჯი შემოიყარა და გაჯავრებულმა წამოიძახა:

— ოჰ, არა, ვეღარ მომითმენია! ახლავე თავი ასწიე გოგო!

საბრალო, ჩვიდმეტი წლის პატარა მეხრე! მან თავი ასწია, და მზარეულს მიაპყრო ნამტირალევი, მაგრამ უკოცნელი ახალგაზრდული ბედნიერი თვალები.

— ჩემთვის მისი პერანგის მარილიც კი საამურია...

დარიას აფუებული მკერდი მძლავრად შეარხია სიცილმა.

— აი ახლა კი ვხედავ, რომ ნამდვილად დაქალიშვილებულხარ.

— აბა წინათ როგორი ვიყავი? არანამდვილი?

— წინათ? წინათ ქარაფშუტა იყავი, ახლა კი გოგო გახდი. სანამ ბიჭი მეორე ბიჭს არ გალახავს თავისი შეყვარებული გოგოსათვის, ის ბიჭი კი არა, ნიფხვის ტოტია. სანამ გოგო მხოლოდ იკრიჭება და თვალებს აყვარყვალებს, ის ქალიშვილი კი არა, კაბაჩაცმული ქარაფშუტაა. აი როცა თვალები სიყვარულის გამო დაუსველდება, როცა ღამღამობით ბალიშზე ცრემლი არ შეუშრება, — მაშინ ნამდვილი გოგო ხდება! გაიგე, სულელო?

დავიდოვი ჯიხურში იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო, და ძილი არ ეკარებოდა. „ვერ ვიცნობ ადამიანებს კოლმეურნეობაში, არ ვიცი, რით უდგიათ სული, — მწუხარებით ფიქრობდა. — ჯერ განკულაკება, მერე კოლმეურნეობის მოწყობა, შემდეგ სამეურნეო საქმეები, ადამიანთა დაკვირვებისათვის, იმათი ახლოს გაცნობისათვის კი დრო არ მყოფნიდა. მერე რა ხელმძღვანელი გამოვა ჩემგან, ჯანაბას, თუ ადამიანებს ვერ ვიცნობ, ვერ მოვასწარი იმათი გაცნობა? საჭირო კია ყველას ვიცნობდე, არც ისე ბევრი არიან. და არც თუ ისე უბრალოა თურმე ყოველივე ეს... აი რა პირი გვიჩვენა ეგერ არჟანოვმა. იგი ყველას გულუბრყვილო კაცად [illegible] როდია, ოჰ, გულუბრყვილო [illegible] კბილს ამ წვერიან მაცდურს: [illegible] თავის ნიჟარაში, ხოკის პი[illegible] შეუძვერი სულში — შეგიშვებს, არ გინდა! და იაკობიც საიდუმლო ბოქლომია. მიზანში უნდა ამოვიღო იგი და დავაკვირდე, როგორც რიგია. ცხადია, წარსულში კულაკი ყოფილა, მაგრამ ახლა კეთილსინდისიერად მუშაობს, ალბათ ეშინია თავისი წარსულის გამო... მაგრამ მნეობისაგან კი უნდა გავათავისუფლოთ, დაე იშრომოს როგორც რიგითმა. ატამანჩუკოვი კი გაუგებარია, ისე მიცქერის, როგორც ჯალათი მსჯავრდადებულს. მერე საქმე რა არის? ტიპიური საშუალო გლეხია, ჰო, თეთრებთან ნამყოფია, კი. მაგრამ იმათგან თეთრებთან აბა ვინ არ ყოფილა? ეს პასუხი როდია. მაგრად უნდა ჩავუფიქრდე ყოველივე ამას, მეყოფა ბრმად ხელმძღვანელობა, როცა არ იცი, ვის შეგიძლია ნამდვილად დაეყრდნო, ვის შეგიძლია ნამდვილად ენდო. ეჰ, მატროსო, მატროსო! ერთი შეეტყოთ ბიჭებს საამქროში, როგორ ხელმძღვანელობ კოლმეურნეობას, — ისე გაგთათხავდნენ, რომ დონიც ვერ გაგრეცხავდა!“

ჯიხურის ახლოს, გარეთ, დაწვნენ დასაძინებლად მეხრე ქალები. მთვლემარე დავიდოვს ესმოდა ვარიას წვრილი და კუპრიანოვას ბოხი ხმა.

— გოგო, რას მეხუტები, როგორც ხბო ძროხას? — იცინოდა და ხუთვის გამო ძლივს სუნთქავდა მზარეული. — გეყოფა ხვევნა. გესმის, თუ არა? გაიწი იქით, ღვთის გულისათვის, ისე ცხელი ხარ, როგორც ღუმელი! გესმის თუ არა, რას გეუბნები? რა საუბედუროდ დავწექი შენს გვერდით!.. ასე რამ გაგახურა! ავად ხომ არა ხარ?

ვარიას წყნარი სიცილი გვრიტის ღუღუნს ჰგავდა.

დავიდოვმა ძილღვიძრად გაიღიმა, გვერდით მწოლიარენი წარმოიდგინა ისინი და ჩაძინებისას გაიფიქრა: „რა საყვარელი გოგოა, უკვე დიდი, გასათხოვარია, ჭკუით კი ბავშვია. იყავ ბედნიერი, საყვარელო ვარიუხა-გორიუხა!“.

დავიდოვს მაშინ გაეღვიძა, როცა უკვე გათენდა. ჯიხურში არავინ იყო, გარედან მამაკაცთა ხმა არ ისმოდა, ყველა მხვნელ-მთესველი უკვე კვალში იდგა, მხოლოდ დავიდოვი ითრევდა ფეხს განიერ მერხზე. ცქვიტად წამოდგა, ფეხსახვევი დაიგრაგნა, ჩექმები ჩაიცვა — და მაშინ დაინახა სასთუმალთან გარეცხილი, ოსტატურად, წვრილი ნემსით გაკერილი თავისი ტანსათბური და ტილოს სუფთა ბლუზა. „აქ საიდან გაჩნდა ეს ბლუზა? რაღაც ჯანაბაა!“ — კვირობდა დავიდოვი და, საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო, ხომ არ მძინავსო, ხელიც კი შეახო გრილ ტილოს.

მხოლოდ როცა ტანსათბური გადაიცვა და ჯიხურიდან გამოვიდა, ყველაფერი გასაგები გახდა: ვარია, რომელსაც მორთული ცისფერი კოფთა და გულდასმით გაუთოებული შავი ქვედაწელი ეცვა, კასრის ახლოს ფეხს იბანდა, ქორფა, როგორც ეს სისხამი დილა, უღიმოდა ჩაკუოწული ტუჩებით, და ისევე, როგორც გუშინ, უნებლიე სიხარულით ციმციმებდნენ მისი შორი-შორ ჩასმული თვალები.

— დაიქანცე გუშინდელ დღეს, თავმჯდომარე? გამოიძინე? — ჰკითხა მოცინარი მაღალი ხმით.

— ღამით სად იყავი?

— ხუტორში.

— მერე როდის დაბრუნდი?

— აი ეს არის ახლა.

— ბლუზა შენ მომიტანე?

თავი უხმოდ დაუქნია და თვალებში შეშფოთება გაუკრთა:

— იქნებ, რამე ისე არ მიქნია? იქნებ, არ უნდა შევსულიყავი შენს ბინაში? მაგრამ ვიფიქრე, ზოლიანი პერანგი საიმედო არ არის-მეთქი...

— ყოჩაღ, ვარიუხა! მადლობელი ვარ ყველაფრისათვის ერთბაშად. მხოლოდ ეს რა შემთხვევისათვის მორთულხარ აგრე? ერთი დახეთ! ბეჭედიც კი წამოუცვამს თითზე!

ვარიამ დარცხვენით შეატრიალა უსახელო თითზე უბრალო ვერცხლის ბეჭედი და წაილაპარაკა:

— მე ხომ ყველაფერი ისე ჭუჭყიანი მეცვა, ჰოდა, წაველი, დედაც ვნახე და ტანსაცმელიც გამოვიცვალე... — მერე უეცრად დარცხვენა სძლია და თვალები კადნიერად დააბრიალა. — მინდოდა კიდევ ტუფლები ჩამეცვა, რომ მთელი დღის განმავლობაში თუნდაც ერთხელ შემოგეხედნა ჩემთვის, მაგრამ ხნულში, ხარებთან ტუფლებით დიდ ხანს ვერ ივლი.

დავიდოვს გაეცინა.

— ახლა თვალს აღარ მოგაშორებ, ჩემო ფეხმარდო ჯეირანო! წადი, ხარები შეაბი, მე კი პირს დავიბან და მოვალ.

ამ დღეს დავიდოვს თითქმის არ მოუხდა მუშაობა. ის იყო, პირი დაიბანა და კონდრატე მაიდანიკოვიც მოვიდა.

— შენ ხომ ორი დღით დაგვეთხოვე, ასე ადრე რად დაბრუნდი? — ღიმილით ჰკითხა დავიდოვმა.

კონდრატემ ხელი ჩაიქნია.

— მომეწყინა. ცოლი ადგა. ციება ათარანებდა. აბა მე რა უნდა მექნა? დავკარი ფეხი და აქ წამოვედი. ვარკა სადღაა?

— ხარების შესაბმელად წავიდა.

— მაშ, მე წავალ, ვნახავ, შენ კი სტუმრებს ელოდე. თვით ლიუბიშკინი რვა გუთნეულს მოერეკება, შუა გზაზე გამოვუსწარი. აგათონიც, კუტუზოვივით, ყველაზე წინ თეთრი ჭაკით მობრძანდება. ჰო, არის კიდევ ახალი ამბავი: გუშინ საღამოს, უკვე დაბინდებულში, ნაგულნოვს ესროლეს.

— როგორ — ესროლეს?!

— ჩვეულებრივად ესროლეს, შაშხანა. ვიღაც ეშმაკმა დააჴალა. ის ღია ფანჯარასთან იჯდა, ლამპასთან, ჰოდა, დაახალეს. ტყვიამ საფეთქელთან გაუქროლა, ტყავი გაურუჯა, მეტი არაფერი. მაგრამ თავს ოდნავ აკანტურებს, არ ვიცი, კონტუზიით, თუ გაბრაზებით, ისე კი ცოცხალი და ჯანმრთელია. რაიონული მილიციიდან მოვიდნენ, დადიან, ყნოსავენ, მაგრამ წასული საქმეა...

— ხვალ მომიხდება თქვენთან გამოთხოვება, ხუტორში წავალ, — გადაწყვიტა დავიდოვმა. — მტერი კადნიერდება, თავს იღებს, ა, კონდრატე?

— რა გაეწყობა, კარგია, დაე ასწიოს. აწეული თავი უფრო ადვილი მოსაკვეთია, — წყნარად უთხრა მაიდანიკოვმა და ფეხსაცმლის გამოცვლა დაიწყო.

თარგმანი არისტო ჭუმბაძისა.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა.



მშვიდი ძილი. [illegible]

## სახელოვანი ჯილდო

[illegible]

## მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო სიგელი „არტეკს"

[illegible] „არტეკი" დაჯილდოებულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო სიგელით. ეს ჯილდო პიონერთა ბანაკებმა მიიღეს „დიდმნიშვნელოვანი წვლილისათვის ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში".

დღეს კოცონის მოედანზე გაიმართა საერთო საბანაკო შეკრება. ყირიმის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ლ. ტიშინმა საზეიმო ვითარებაში გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო სიგელი.

საპატიო ჯილდო ბავშვებს გულთბილად მიულოცეს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ამ საზეიმო დღეს პიონერებთან სტუმრად იყვნენ მამაცი მეომრები ახატ ზიგანშინი, ფილიპე პოპლავსკი, ანატოლ კრიუჩკოვსკი და ივანე ფედოტოვი, რომლებიც ყირიმში ისვენებენ.

## დღესასწაულის დღეებში

### ახალი სასურსათო მაღაზიები

მშრომელთა საერთაშორისო დღეს — 1 მაისს თბილისის მცხოვრებლები სხვა მრავალ საჩუქართან ერთად მიიღებენ ახალ კეთილმოწყობილ სასურსათო მაღაზიებს. გოგოლის ქუჩაზე გაიხსნება ახალი სახაჭაპურე მაღაზია, რომელიც ლამაზად არის გაფორმებული და მოპირკეთებულია თეთრი მარმარილოთი. სტალინის სახელობის საკოლმეურნეო ბაზარში გაიხსნება ხორცის დიდი კეთილმოწყობილი მაღაზია. ასეთივე მაღაზია გაიხსნება კიროვის სახელობის საკოლმეურნეო ბაზარში.

კაპიტალური რემონტის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე მუშაობას დაიწყებს გასტრონომიული მაღაზია.

უახლოეს დღეებში მელიქიშვილის ქუჩაზე გაიხსნება ხილის სპეციალიზებული ორსართულიანი მაღაზია, რომელიც ეკუთვნის „თბილხილბოსტანვაჭრობას".

კიროვის პარკთან მიმდინარეობს დამამთავრებელი სამუშაოები ორსართულიანი კაფესი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

### სამაისო ვაჭრობა

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში მიმდინარეობს გაცხოველებული სადღესასწაულო ვაჭრობა. ყოველდღიურად სამრეწველო და სასურსათო მაღაზიებში შემოაქვთ მრავალფეროვანი ასორტიმენტის სამრეწველო საქონელი, ტკბილეული და სხვ.

1 მაისს სასურსათო მაღაზიები იმუშავებენ კვირადღის განრიგის მიხედვით. სამრეწველო მაღაზიები 1 მაისს დაკეტილი იქნება. 2 მაისს სასურსათო და სამრეწველო მაღაზიები იმუშავებენ ჩვეულებრივად.

დღესასწაულის დღეს ქუჩებში, პარკებში გაიმართება დატარებითი ვაჭრობა.

## სასამართლოს დარბაზიდან

## მკვლელები დაისაჯნენ

გუშინ თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბში დამთავრდა გარეწარ მკვლელთა სასამართლო პროცესი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კაცისმკვლელს ბრალდებულ ვაჟა შალვას-ძე ვასილცევს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

დამნაშავე კონსტანტინე აკაკის-ძე ბილიხოძეს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

## მობრძანდით, დაისვენეთ!

[illegible] ორჯერ გაიმართება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტები.

„თბილისის ზღვის" კულტურისა და დასვენების პარკში წელს გაზაფხულზე დაირგო ათასობით ხე და ბუჩქი. გაწმენდილია პლაჟები, შეკეთდა სასეირნო ნავები, დამატებით იმუშავებენ ახალი კატერები.

## მ. ტალი სამი ქულით უსწრებს მეტოქეს

მოსკოვი, 29 აპრილი. (ტასს). [illegible]

[illegible] ეa7 ეe4 58. მh5+ მფg6 59. მფf3 ეb4 60. მg3 ეf4+ 61. მფe3 ეf7 62. ეa5 ეf6 63. მe4 ეf5 64. ეa6+ მფg7 65. მg3 ეe5+ 66. მფf4 ეb5 67. მფe4 მფf7 68. მf5 ეb4+ 69. მd4 ეb1 70. მf3 ეb4+ 71. მd4 ეb1 72. მc6 მფg6 73. მe5+ მფh5 . . და ყაიმი.




[illegible] მოიგო თეთრების ერთადერთი პაიკი, რის შემდეგ ყაიმი გარდუვალი იყო.

მ. ბოტვინიკი ცდილობდა შავების მეფე დაფის კუთხეში მოემწყვდია, მაგრამ ამის გაკეთება მან ვერ შეძლო. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 18 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიში გახდა 10,5 : 7,5 მ. ტალის სასარგებლოდ.

მორიგი მე-19 პარტია შედგება 30 აპრილს.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 12

1960 წლის 29 აპრილი ქ. თბილისი

1960 წლის 1 მაისის პარადის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 1

1960 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათისა და 45 წუთისათვის.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადო.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ი. ტ. გაიდაშმა მისცეს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ი. ტ. გაიდაშს.

თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი ხუბულური.

## მღელვარება თურქეთში

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან იუწყება, „დღეს მას შემდეგ, რაც მოხდა სტუდენტთა ამბოხება პრემიერ ადნან მენდერესის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო წესების შემოღება... იუწყებიან, რომ მოკლულია სულ ცოტა 4 კაცი".

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მეორე ცნობაში ნათქვამია, რომ „დღეს პოლიციამ ალყა შემოარტყა სტამბოლის უნივერსიტეტს, როცა ამბოხებულმა სტუდენტებმა დემონსტრაციები გამართეს თურქეთის მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ მთელი პოლიტიკური მოღვაწეობა აიკრძალოს სამი თვით.

800-მდე სტუდენტმა, რომელნიც უნივერსიტეტში შეიკრიბნენ, უარი თქვა წასულიყო ლექციებზე და გამოვიდა ქუჩებში. ისინი მღეროდნენ თურქეთის დამოუკიდებლობის ჰიმნს, წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს, იწონებდნენ კორეელი ახალგაზრდობის მოქმედებას, რომელმაც მიაღწია ლი სინ მანის მთავრობის დამხობას".

პარიზი, 29 აპრილი. (საკდესი). თურქეთში გრძელდება სტუდენტთა მღელვარება.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს თურქეთის დედაქალაქში მოხდა პოლიციისა და ანკარის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეტაკება. სტუდენტთა ჯგუფმა მოაწყო სტიქიური დემონსტრაცია უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის შენობასთან. სტუდენტები მღეროდნენ თურქეთის ეროვნულ ჰიმნს. სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ პოლიციამ ხელკეტები იხმარა და გარეკა სტუდენტები. არიან დაჭრილები. ცხენოსანთა რაზმები იცავენ უნივერსიტეტის მისასვლელებს. ანკარის ძირითადი მაგისტრალები ბლოკირებული აქვს პოლიციას.

ლონდონი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ანკარიდან იუწყება, პოლიციასთან სტუდენტთა შეტაკების შედეგად არის სულ ცოტა 30 დაზარალებული.

პარიზი, 29 აპრილი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, რომ გენერალ ნამიკ არგიუჩი, რომელსაც დაკისრებული აქვს საგანგებო წესების განხორციელება ანკარაში, მივიდა სტუდენტთა დემონსტრაციის ადგილას ანკარის უნივერსიტეტის შენობასთან და მოითხოვა, რომ დემონსტრანტები დაშლილიყვნენ. მან გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარის ნაწილები იარაღს იხმარენ. მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ ჯარებმა ჰაერში დაიწყეს სროლა.

პარიზი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, ერთი სტუდენტი მოკლულია და ხუთი დაჭრილია ანკარის უნივერსიტეტში გამართული დემონსტრაციის დროს.

ცნობაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შენობასთან გრძელდება დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი ათასამდე კაცი.

სტამბოლი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ სტამბოლში სტუდენტთა გამოსვლებთან დაკავშირებით გამოცხადდა საგანგებო წესები... ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი 21 საათიდან დილის 5 საათამდე. დახურულია ყველა გასართობი დაწესებულება. აკრძალულია ყოველგვარი კრების მოწყობა და მასალების გამოქვეყნება, რომლებიც სტუდენტთა მღელვარებას ეხება. სტამბოლის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე სამი დღით შეწყდა მეცადინეობა.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

● როგორც კატმანდუდან იუწყებიან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იყო ნეპალში, 29 აპრილს დილით კალკუტის გავლით სამშობლოში გაემგზავრა.

● სინხუას სააგენტომ დაიმოწმა ბანგკოკიდან მიღებული ცნობები და გადასცა, რომ 28 აპრილს ბანგკოკისა და მანილის რაიონებში ერთსა და იმავე დროს დაიწყო სეატოს დიდი საზღვაო მანევრები.

მანევრებში მონაწილეობას იღებენ სეატოს ბლოკის 8 წევრი ქვეყნის 60-ზე მეტი სამხედრო ხომალდი, მათ შორის ავიამზიდები, 100-ზე მეტი თვითმფრინავი (მათ შორის მძიმე ბომბდამშენები) და დაახლოებით 20 ათასი ჯარისკაცი.

## საერთაშორისო ცხოვრება

## ოლიმპიოს პრეს-კონფერენცია

ლომე, 29 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ტოგოს პრემიერ-მინისტრმა სილვანუს ოლიმპიომ გუშინ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: ჩემს ქვეყანას განზრახული აქვს უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა იქონიოს აფრიკის ყველა სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით ეკონომიური თანამშრომლობის დარგში.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტოგო არ გახდება საფრანგეთის გაერთიანების წევრი, რადგან მოიპოვა დამოუკიდებლობა.

შეეხო რა უცხოეთის დახმარების საკითხს, მან თქვა, რომ ტოგო მზად არის მიიღოს დახმარება იმ პირობით, რომ იგი არ შელახავს ქვეყნის დამოუკიდებლობას.

საჰარაში ატომის გამოცდის შესახებ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტოგოს ხალხი ატომგულის იარაღის გამოცდის წინააღმდეგია.

## ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი 1 და 2 მაისს

1 მაისს თბილისის ქალაქის ტრამვაი იმუშავებს დილის 5 საათიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებს დღის 12 საათზე. ტრამვაის მარშრუტები № 1 და № 12 მიმოსვლას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები იმუშავებენ დილის 5 საათიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებენ დღის 12 საათზე. ტროლეიბუსის მარშრუტები №№ 2,3,8, 8-ა მიმოსვლას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ. ტროლეიბუსის მარშრუტები № 4 და № 6 დღის 12 საათიდან ივლიან საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნამდე, № 7 მარშრუტის ტროლეიბუსები დღის 12 საათიდან — გორგასალის მოედნიდან. დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ყველა მარშრუტი ჩვეულებრივი წესით იმუშავებს.

ავტობუსის მარშრუტები №№ 2,5,21 იმუშავებენ საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნიდან. ავტობუსის მარშრუტები № 10 და № 16 იმუშავებენ მფრინავთა სახლიდან. ავტობუსის მარშრუტები №№ 30, 31 და 18 იმუშავებენ რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან ლენინის რაიონში.

ავტობუსის მარშრუტები №№ 8,8-ა, 19 და 36 ივლიან ბარათაშვილის ხიდიდან. ავტობუსის მარშრუტები №№ 1, 3, 4, 11, 14, 14-ა, 15, 16-ა, 19-ა, 37 დემონსტრაციის დამთავრებამდე არ იმუშავებენ. ავტობუსის დანარჩენი მარშრუტები იმუშავებენ ჩვეულებრივი წესით.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ავტობუსის ყველა მარშრუტი მუშაობას განაახლებს თავისი მიმართულებით.

ტრამვაი, ტროლეიბუსები და ავტობუსები მუშაობას წყვეტენ ღამის 2 საათზე.

2 მაისს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტი ჩვეულებრივი განრიგებით [illegible]ვებს.

სამგზავრო ტაქსი-მანქანები 1 და 2 მაისს ჩვეულებრივი წესით იმუშავებენ, გადიდდება ღამით გამოსაწვევი მორიგე ტაქსი-მანქანების რაოდენობა.

მიიღება განაცხადები შეკვეთილ ავტობუსებზე ექსკურსიებისათვის ქალაქის ფარგლებში.

## ი ვ ა ნ ე ზ ო დ ე ლ ა ვ ა



ბრმა შემთხვევამ სიცოცხლეს გამოასალმა ენერგიითა და ჯანღონით აღსავსე ამხანაგი და მეგობარი ივანე (ვანო) სამსონის-ძე ზოდელავა.

შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან, როგორც ენერგიულმა მუშაკმა, თავმდაბალმა და გულისხმიერმა ამხანაგმა, უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ი. ზოდელავა დაიბადა 1912 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, გლეხის ოჯახში.

1927 წელს ის შედის ლენინურ კომკავშირში, ხოლო 1939 წლიდან საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებშია.

1934 წელს ი. ზოდელავა ამთავრებს თბილისის რკინიგზის სამშენებლო ტექნიკუმს, ხოლო 1940 წელს — საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტს და იმავე წელს იწყებს მუშაობას საქართველოს კვების მრეწველობის დარგში.

1940 წლის ბოლოს ი. ზოდელავა ინიშნება საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის კონტროლიორად. 1941 წლის სექტემბრიდან 1946 წლის ოქტომბრამდე ი. ზოდელავა მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში და მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. პარტიამ და ხელისუფლებამ სათანადო შეფასება მისცეს ი. ზოდელავას მამაცობას სამამულო ომის ფრონტებზე. იგი ორი საბრძოლო ორდენითა და მედლებით იყო დაჯილდოებული.

1946-48 წლებში ამხ. ი. ზოდელავა მუშაობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორად.

1948-50 წლებში ამხ. ი. ზოდელავა იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1950 წლიდან ი. ზოდელავა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, ხოლო 1952 წლიდან 1957 წლამდე ეკავა თბილისის მშენებლობისა და მასალების ქარხნის მთავარი ინჟინრის თანამდებობა. 1957 წელს კი დაინიშნულ იქნა ამავე ქარხნის დირექტორად, სადაც მან დაჰყო 1959 წლის მარტამდე.

1959 წლის მარტიდან ამხ. ი. ზოდელავა მუშაობდა რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე. მას ეკუთვნის მრავალი რაციონალიზატორული წინადადება და ტექნიკური სიახლე, რომლებიც დანერგილია საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობაში.

ამხ. ვანოს ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## სამხრეთ კორეის ამბები

ფხენიანი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო იუწყება, 27 აპრილს აქ გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა გაერთიანებული სხდომა იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რაც სამხრეთ კორეაში შეიქმნა. სხდომაზე მოხსენება გააკეთა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ კიმ ჩერმა.

სხდომაზე მიღებულ იქნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეაში შეიქმნა სერიოზული მდგომარეობა. მიუხედავად სისხლისმღვრელი რეპრესიებისა, ფართოვდება სამხრეთ კორეის ხალხის გმირული ბრძოლა ლისინმანური რეჟიმის წინააღმდეგ, ბრძოლა, რომელსაც მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკელი იმპერიალისტები, ისწრაფვიან რა თავიდან აიშორონ პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის და სამხრეთ კორეის ხალხი მოატყუონ, სხვადასხვა პოლიტიკურ მანევრს მიმართავენ.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეაში შექმნილი მდგომარეობის გადაჭრის გზაა ამერიკის ჯარების გაყვანა. უამისოდ შეუძლებელია სამხრეთ კორეაში რეაქციული რეჟიმის, სიღატაკისა და უუფლებობის ლიკვიდაცია. თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს სამხრეთ კორეის ტერიტორიიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა.

სხდომის მონაწილეებმა მოითხოვეს აგრეთვე ლი სინ მანის დაპატიმრება და ხალხის სამსჯავროში მიცემა, ეროვნული კრებისა და მართვის ფაშისტური აპარატის დაშლა, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთაგან ადმინისტრაციული აპარატის შექმნა, რომელიც დროებით შეასრულებს სამხრეთ კორეის ხელისუფლების ორგანოების ფუნქციებს; ლისინმანური პოლიციის დათხოვნა და მის ნაცვლად სახალხო პოლიციის შექმნა; ყველა რეპრესიული კანონის დაუყოვნებლივ გაუქმება; გამცემლურ ხელშეკრულებათა დაუყოვნებლივი დენონსაცია, მათ შორის ამერიკა — სამხრეთ კორეის ხელშეკრულებისა „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ"; სამხრეთ კორეის ყველა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგალიზაცია, რომლებიც გამოცხადებული არიან კანონს გარეშე; სიტყვის, პრესის, კრებებისა და გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფა; სამხრეთ კორეაში საგანგებო წესების გაუქმება, უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით ყველა დაპატიმრებულთა და პოლიტპატიმართა განთავისუფლება; მოსახლეობის დახოცვაში დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასჯა; ლი სინ მანისა და ლი გი ბუნის ქონების კონფისკაცია, რათა იგი გამოყენებულ იქნას გაჭირვებულთათვის დასახმარებლად.

განცხადებაში კვლავ მოთხოვნილია მოწვეულ იქნას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირი კორეაში გათიშვის ლიკვიდაციის მიზნით, შეიქმნას ეკონომიური საბჭო ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ეკონომიური ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, რათა აღდგენილ იქნას სამხრეთ კორეის დანგრეული სახალხო მეურნეობა და მოხდეს მოსახლეობის ცხოვრების სტაბილიზაცია.

განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ კორეის თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ სრულიად კორეის არჩევნების მოწყობით გარედან ჩაურევლად.

ნიუ-იორკი, 28 აპრილი. (საკდესი). როგორც ამერიკელი კორესპონდენტები სეულიდან იუწყებიან, დღეს სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხო ჯონმა, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს, დანიშნა ექვსი ახალი მინისტრი სამხრეთ კორეის დროებით მთავრობაში, მათ შორის ფინანსთა, მშენებლობის, ვაჭრობისა და მრეწველობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საქმეთა მინისტრები. პირველი სამი პოსტი დაიკავეს შესაბამისად სეულის ბანკის პრეზიდენტმა, კორეის ბანკის მმართველის ერთ-ერთმა მოადგილემ და მსხვილი საიმპორტო-საექსპორტო ფირმის პრეზიდენტმა. ტრანსპორტის მინისტრის ყოფილი მოადგილე ტრანსპორტის მინისტრი გახდა. სამი პოსტი ჯერჯერობით ვაკანსიურია. მათ ეკუთვნით თავდაცვის მინისტრის პოსტი, რომელიც, როგორც აღნიშნულია სეულიდან მიღებულ ცნობებში, შესაძლოა დაიკავოს სამხრეთ კორეის არმიის შტაბის უფროსმა სონ იო ჩანმა.

დღეს სამხრეთ კორეის ეროვნულმა კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთავრობას უზრუნველყოს ყოფილი პრეზიდენტის ლი სინ მანის უშიშროება.

როგორც უცხოელ კორესპონდენტთა ცნობებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სამხრეთ კორეაში მაკონაგი დღეს ეწვია ლი სინ მანს, რათა გამოეთქვა სამძიმარი მისი უახლოესი ხელქვეითის ლი გი ბუნის სიკვდილის გამო, რომელიც გუშინ საკუთარმა შვილმა მოკლა. ლი გი ბუნმა სამხრეთ კორეის ხალხის საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა. მას ეკუთვნის პროვოკაციული განცხადება სტუდენტთა დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ, რომ „იარაღი მოცემულია სასროლადო".

ლონდონი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება სეულიდან, სამხრეთ კორეის ეროვნულმა კრებამ დღეს გადაწყვიტა დათანხმდეს, რომ ლი სინ მანი გადადგეს პრეზიდენტის პოსტიდან მომავალ კვირაში.

პარიზი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან იუწყება, დღეს იქ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა ლისინმანელთა ტერორის მსხვერპლთა რიცხვის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ 9 დღეში სეულსა და სამხრეთ კორეის სხვა ქალაქებში მოკლეს 171 კაცი, დაჭრეს 1.000-ზე მეტი კაცი, რომელთაგან 300 ამჟამად კრიზისულ მდგომარეობაშია.

როგორც სეულიდან იტყობინებიან, ტერორისტული რეჟიმის რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწემ თავი შეაფარა ინჩხონის ამერიკის სამხედრო ბაზაში.

(გაზეთებიდან).




...გამოუყენებელი საქონლის დაბრუნება.

ნახ. ი. ქოჩიაშვილისა.

## ობერლენდერი მსჯავრდადებულია

ბერლინი, 29 აპრილი. (საკდესი). დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში გამოცხადდა განაჩენი სამხედრო დამნაშავე ობერლენდერის საქმეზე, რომელსაც დასავლეთ გერმანიის მთავრობაში ეკავა ადგილგადანაცვლებული პირების საქმეთა მინისტრის პოსტი. ობერლენდერს არაერთგზის ჩადენილი მკვლელობისათვის, მკვლელობის არაერთგზის წაქეზებისათვის, ადამიანთა სიცოცხლის წინააღმდეგ დანაშაულობებში თანამონაწილეობისათვის და არაერთგზის მოწოდებებისათვის—ჩაედინათ დანაშაული, მიესაჯა სამუდამო კატორღა და სამოქალაქო უფლებათა სამუდამოდ აყრა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება ობერლენდერის დაპატიმრების შესახებ.

პროცესი ტეოდორ ობერლენდერის საქმეზე დაახლოებით 10 დღეს გრძელდებოდა. სასამართლომ, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის დებულებებით, რომლებიც მოქმედებენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და დასავლეთ გერმანიაში, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის დებულებებით, გამოაქვეყნა დიდძალი დოკუმენტები, მათ შორის მასალები, რომელთა ავტორია თვით ობერლენდერი.

ობერლენდერის პროცესი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში მიმდინარეობდა სასამართლო წარმოების წესების სრული დაცვით. ბრალდებულს დაენიშნა ოფიციალური დამცველები. მაგრამ თვით ობერლენდერმა, რომელსაც აშკარად არ შეეძლო გაებათილებინა მრავალი ფაქტი თავის დანაშაულობათა შესახებ, ამჯობინა არ გამოცხადებულიყო პროცესზე. ბერლინში არ ჩამოსულან მოწმეებიც, რომლებიც დასავლეთ გერმანიიდან გამოიწვიეს დაცვის წარმომადგენლებმა, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი შეფერი და მთავრობის სხვა წევრები, რომლებიც მოწვეული იყვნენ დასწრებოდნენ ობერლენდერის საქმის გარჩევას.

## შეიქმნა ატომის მრეწველობა

ბონი, 28 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში გაძლიერებული ტემპით იქმნება ატომური მრეწველობა და ამით საფუძველი ეყრება ატომური იარაღის წარმოებას. რასაკვირველია, ბონის ხელისუფლები ამჯობინებენ ჯერჯერობით არაფერი თქვან ამის შესახებ და ყოველნაირად უსვამენ ხაზს ატომური კვლევის მშვიდობიან მიზნებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფალნი უხვ სუბსიდიას იძლევიან ატომური მრეწველობის შესაქმნელად. მაგალითად, ბონის ატომური ენერგიის საკითხთა სამინისტროს მონაცემებით, 1956-დან 1959 წლამდე ჩათვლით სამინისტრომ 175 მილიონი მარკა დახარჯა 75 „სამეცნიერო-საკვლევი" ინსტიტუტისა და ლაბორატორიის შესაქმნელად და უკვე არსებული ინსტიტუტებისათვის სუბსიდიის მისაცემად. მარტო გასულ წელს ატომური მრეწველობის შესაქმნელად დახარჯულია 79 მილიონი მარკა.

## თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექცია

ა. წ. 25 მაისიდან ატარებს გუნდის მსახიობთა კონკურსს შემდეგი ხმების მიხედვით:

პირველი სოპრანო — 12 ადგილი, მეორე სოპრანო — 9 ადგილი, ალტი — 12 ადგილი, ტენორი — 16 ადგილი, ბანი — 15 ადგილი.

მიიღება განცხადებები. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენილ იქნას ცნობა მუსიკალური განათლების შესახებ,

დირექცია.

30 აპრილი

თეატრები: რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი, მარჯანიშვილის სახელობის — ჩემი ყვავილეთი, გრიბოედოვის სახელობის — მესამე პათეტიკური (მე-7 აბონ. მე-8 წარმ.), მუსიკალური კომედიის — არშინ-მალ-ალან (რკინიგზელთა სახლში), სანკულტურის — „ჯავშნიანი გული", მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (აბ. № 26, 7ს.).

კინოები: რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო — (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — დიდი კარუზო, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლხიდა, — სადაც არ უნდა იყო, კომკავშირელი, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ოფიცერთა სახლი, დიდუბე, — კატო-კატუნია, გორკის სახელობის კულტურის სახლი — კარნავალის ღამე, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — კანონი კანონია, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო და საზაფხულო), თანამგზავრი — ივნანა, კოლმეურნე — მძიმე ხელთათმანი, ყაზბეგი — სიყვარული და მოვალეობა.

ტელევიზია: 18.30—გადაცემა მოსწავლეთათვის—სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი" № 9, 19.15 — კინოჟურნალი, 19.25 — საუბარი — „40 წელი სრულიად რუსეთის შაბათობა-მაისობის დღიდან", 19.40 — კინოვიქტორინა, 20.20 — კონცერტი, 20.40 — უკანასკნელი ცნობები, 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი „ჩვენ ვუნდერკინდები ვართ".

კომუნისტი

მე-4 გვერდი, შაბათი, 30 აპრილი, 1960 წ.